ოლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.
ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივანი № 19 საერ. №

ფასი 40,000 მან.

№ 74 — კვირა, 2 აპრილი 1922 წ. — ყოველდღიური გაზეთი — კვირა, 2 აპრილი 1922 წ. — № 74

დღეს იწყება წითელი გუთნისა და წითელი სახნისის თვე

აპრილის თესვამ უნდა გადასწყვიტოს ჩვენი ქვეყნის სურსათით მომარაგების ბედ-იღბალი მიმდინარე და მომავალი წლისთვის. ყველა ძალები სამეურნეო ფრონტზე! ერთი ტკაველი დასათესი მიწაც კი არ უნდა დარჩეს უქმათ. მუშათა სახელმწიფო დახმარების ხელს უწვდის სოფელს, გლეხობაც დაეხმარება სახელმწიფოს!

გაუმარჯოს წითელ გუთანს და წითელ სახნისს! გაუმარჯოს მშრომელთა მარჯვენას!

ველა პროფსაბჭოებს, სამაზრო პროფბიუროებს, ავშირების ცენტრალურ გამგეობებს, საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს

25 აპრილს სრულიად რუსეთის პროფკავშირთა მე 5 ყრილობის გახს- ს გამო, რომელზედაც კონკრეტიულად გადაწყდება პროფკავშირთა ახა- ი მიზნები, ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმმა დაადგინა გადასდოს პროფმოძრაო- ს და წითელ პროფინტერნის კვირის გატარება სრულიად რუსეთის როფკავშირთა მე 5 ყრილობის გათავებამდი.

ს. პ. კ. ს. მდივანი ნ. კიკნაძე.
ს. პ. კ. ს. საორგ. განყ. გამგე კ. ოდილავაძე.

დღეს, აპრილის 2-ს, დღის 12 საათზე

სასახლეში დანიშნულია

რულიად საქართველოს საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის

სხდომა

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
თ. კალანდაძე.
(1—1)

ბილისის ორგანიზაციების პასუხისმგებელ პროპაგანდისტების და აგიტატორების კრება,

რომელიც დანიშნული იყო ორშაბათს, 3 აპრილს,

არ შესდგება

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის სააგ. საპროპაგანდო განყოფილება.

აქართველოს კომუნისტურ პარტიის ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს

ცირკულიარულად № 122.
სასწრაფოდ

ძვირფასო ამხანაგებო!

შარშანდელმა მოუსავლობამ დაგვაყენა სიმშილის საშინელ აჩრდილის ინ.

სიმშილი გვიმუქრის მომავალ წლებშიაც.

ჩვენს სიმშილზე ნადიმის გამართვას აპირებენ ჩვენი შინაგანი და გა- ეშე მტრები.

ამიტომ ჩვენი პარტიის ძირითადი ამოცანას ამ ჟამად წარმოადგენს შრომელთა დახსნა საშინელ ტანჯვისა და წამებისაგან.

სიმშილთან საბრძოლველად დაარსებულია ცენტრსა და ადგილებში ამშეულთა დამხმარე კომიტეტები, რომლებიც თქვენის ბეჯითი დახმარე- ით ენერგიულად მუშაობენ და სხვა და სხვა შეწირულებას ჰკრებენ.

მაგრამ ბრძოლას სიმშილის წინააღმდეგ მხოლოდ შემოწირულებათა ოკრებით, ვერ შევზღუდავთ.

საჭიროა უფრო მტკიცე ზომები. ასეთ ზომათ პირველ ყოვლისა უნდა ავისახოთ **ადრეული დათესვა**. ყველა თავისუფალი უკანასკნელი ნაგლეჯი იწაც კი არ მოვაცდინოთ.

ამიტომ ამ ჟამად, როდესაც დადგა გაზაფხულის თესვის დრო, სიმ- ილთან ბრძოლა წარმოადგენს ჩვენთვის ყველაზე მეტ მწვავე სასწრაფო აქმეს.

ამის გამო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურმა კომი- ეტმა **დაადგინა გამოაცხადოს აპრილი—თესვის თვედ.**

წითელი გუთნის, წითელი სახნის საკვეთის თვედ.

ამ გადაწყვეტილების განსახორციელებლათ მიღებულია შემდეგი ზო- ები:

1) აპრილიდან დაწყებულ იქნას ფართე აგიტაცია გლეხებში ჩასაგო- ებლად, რომ საჭიროა ადრეული დათესვა და ერთმანეთის ყოველგვარი ახმარება, რისთვისაც მაზრებში უნდა გაიგზავნოს თითო პასუხისმგებელი მხანაგი, რომლებიც დაჰყოფენ იქ არა ნაკლებ ერთი კვირისა.

2) კომუნალურ მეურნ. და ეკონომიურ განყოფილების ყველა სახე- ლოსნოები მაზრებში უნდა გამოყენებულ იქმნას სასოფლო სამეურნეო არაღების შესაკეთებლად—ღარიბებს უფასოდ, დანარჩენებს ზომიერ ფა- ად.

3) ყველა სასოფლო სამეურნეო იარაღები, რომლებიც აქვთ მთავრო- ის საწყობებში, უნდა გაიგზავნოს მაზრებში.

4) სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭომ უნდა გადასცეს მიწად-მოქ- მედების სახალხო კომისარიატს სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესა- კეთებლად რესპუბლიკის ანგარიშში 500 ფუთი რკინა და 100 ფუთი ფო- ლადი.

5) თესვის ცენტრალურმა კომისიამ უნდა მიიღოს რაც კი შეიძლება ენერგიული ზომები მაზრების დასათეს მასალით მოსამარაგებლად.

6) აპრილში მოკრებილი სასურსათო გადასახადის 20 პროცენტი და- ტოვებულ იქნას ადგილებზე (თემებში) თესვის საჭიროებისათვის.

7) სრულიად საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომი- ტეტმა უნდა წინადადება მისცეს შინაგან საქმეთა კომისარიატს, რომ მან უბრძანოს ყველა სამაზრო აღმასკომებს—მიიღონ რაც კი შეიძლება ენერ- გიული ზომები, აიძულოს კიდეც დაუდევრები, რომ გლეხები აპრილიდან შეუდგნენ და გაძლიერებით განაგრძონ თესვა აპრილის დამლევამდე, ამ ვა- დისათვის ეს საქმე უსათუოდ უნდა მოთავდეს.

8) ყველა რედაქციებმა მთელი თვის განმავლობაში უნდა აწარმოვონ **ამ მიმართულებით** რაც კი შეიძლება ფართე აგიტაცია და განსაკუთრებულ გვერდზე მოათავსონ ცნობები თესვის მსვლელობაზე მაზრებში.

9) ც. კ. საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებამ დროგამოშვებით უნდა გამოსცეს შესაფერი ფურცლები და პლაკატები.

10) გამოცხადდეს მაზრებში, რომ სპეციალური დღეები მოეწყობა ღარიბებისა, ქვრივებისა, ობლებისა და წითელ არმიელების საშველად. ამის მაგალითი უნდა უჩვენოს კომუნისტებმა.

11) სამაზრო კომიტეტებმა ყველა უქმე და კვირა დღეები უნდა გამოიყენონ თესვის სასარგებლოდ აგიტაციისთვის, გამართონ საზოგადო და წრეების კრებები და ყოველ კვირა გამოგზავნონ ცნობები თესვის მსვლელობაზე.

12) გადადებულ იქმნას ამ კამპანიის ჩასატარებლად 300 მილიონი მანეთი.

13) გაიხსნას სამეგრელოს და აფხაზეთის საზღვრები ხორბლის გადასაცვლელად დასათეს სიმინდზე, სათანადო მოწმობების თანახმად.

წინადადება ეძლევა ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს ამ ცირკულიარის მიღებისათანავე, შეუდგნენ სამზადის მუშაობას კამპანიის ჩასატარებლად, რისთვისაც პირველ დღედ უნდა დაინიშნოს **კვირა 2 აპრილი**. ეს დღე, როგორც უქმე დღე, უნდა რაც კი შეიძლება მეტად გამოყენებულ იქნას საჯარო კრებების და აგიტაციის მოსაწყობად ყველა რაიონებსა და თემებში. ცენტრიდან, მთელი თვის განმავლობაში და შემდეგაც მიიღებთ სათანადო ნივთიერ და ზნეობრივ დახმარებას **„ყველაფერი თესვის კამპანიისათვის და ყველანი თესვის ფრონტზე''.—ეს უნდა იყოს პარტიის მებრძოლ ლოზუნგად მთელი აპრილის თვის განმავლობაში.**

კომუნისტურ სალამით ც. კ. მდივანი **მამულია**

მომავალში სიმშილის თავიდან ასაცილებლათ უნდა დავთესოთ ყველა ყანები.

ამისთვის საჭიროა ურთიერთ დახმარება.

ყველა ძალები ადგილობრივ აპრილის განმავლობაში უნდა მოვანდომოთ თესვის კამპანიას.

მთელი ძალ-ღონე თესვის ფრონტს

აპრილი—ვინ არ იცის, რომ განსაკუთრებული თვეა სოფლის მეურნეობის ცხოვრებაში მის უდიდეს მნიშვნელობას თითეული ჩვენთაგანი ღრმად გრძნობს, და ყველაზე უწინ კი, რა თქმა უნდა, ის მშრომელი ხალხი, სოფლის გლეხ-კაცობა, რომელიც უშუალოდ ჩაბმულია ამ სასოფლო-სამეურნეო მუშაობაში. სწორედ ამ თვეში იწყება ჩვენს ქვეყანაში თესვის კამპანია. მშრომელი გლეხი, განახლებული და მჩქეფარე ენერგიით, რომელსაც სამოქმედოდ იწვევს თვით გაზაფხულის გამოცოცხლებული ბუნება, ხალისით ედება მინდორ ველს, რწყავს მას თავისი ოფლით და მადლიანი მარჯვენით ქმნის სარჩო-საბადებელს ოჯახისა, სტუმარმოყვარისა, მოძმისა და მთელი ქვეყნისათვის. თქვენ უნდა ნახოთ ამ დროს ყანა-მინდვრები და დატკბეთ მშვენიერი სურათით: მთელი სოფელი, ვაჟი და ქალი, დიდი თუ პატარა გამოფენილა მინდვრად და მხიარულებით, სიმღერა ჟრიამულით შესდგომია ცხოვრებისა და ბუნებისაგან დაკისრებულ დიადი მოვალეობის—ხვნა-თესვის ასრულებას. ჭეშმარიტად განსაკუთრებულია ეს დრო და უმნიშვნელოვანესია ის მუშაობა, რომელსაც მაშინ გლეხ-კაცობა ეწევა. და ვინ შეიძლება იყოს ისეთი, ორგანიზაცია იქნება ის თუ კერძო პირი, რომელიც ამ საქმეს გულზე ხელდაკრეფით შეხედავს, მისდამი გულგრილობას გამოიჩენს! ასეთი შეიძლება იყოს მხოლოდ ხალხის აშკარა, მოსისხლე, უბოროტესი მტერი, რომელსაც უხარია თესვის კამპანიის ჩაშლა და ამით გამოწვეულ სიმშილზე, მშრომელ მასსების გაჭირვებაზე ლამობს ააგოს თავისი ტახტი, ბატონობა და გამართოს ველური ნადიმი და ვაკხანალია. ხოლო მშრომელი ხალხის გულშემატკივარი და მოამაგე მთელი ძალღონით მიეშველება მას თესვის კამპანიის წარჩინებით ჩასატარებლად და ყოველ მხრივ გაუმართავს ხელს. მუშურ გლეხური მთავრობა, ყველა საბჭოთა ორგანოები და პარტიული ორგანიზაციები მაქსიმალურ შესაძლებლობას და მსხვერპლს იღებენ, რათა გლეხკაცობამ დასძლიოს მის წინაშე აღმართული დაბრკოლებანი და თესვის საქმე წარმატებით დააგვირგვინოს. ეს სიძნელენი, დაბრკოლებები კი ძალიან ბევრია. ჩვენ რამოდენიმეჯერ აღვნიშნეთ და ეხლაც განვიმეორებთ, რომ მუშაობას აფერხებს, ან პირდაპირ შეუძლებლად ხდის განსაკუთრებით სამი მთავარი მიზეზი: სათესლე მასალის ნაკლებობა, არსებული თესლის დროით დარიგების სიძნელე მოსახლეობისათვის, ცოცხალ და მკვდარ ინვენტარის სიმცირე. იმ უტყუარი მასალების მიხედვით, რომელიც ჩვენს განკარგულებაში იმყოფება, ჯერ-ჯერობით არსებულ თესლის მარაგი მოთხოვნილებას ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს.

ამ მხრივ, თესლის შესაძენად, როგორც იცით, გამაღლებულ მუშაობას აწარმოებს მთავრობა, როგორც საზღვარ გარეთ, ისე შინაურ ბაზარზე, აგრეთვე თვით შეკავშირებული გლეხობაც, მაგრამ უქმად ჩაივლის ეს მუშაობა, თუ ორ სამ კვირის განმავლობაში არ იქნება მიღწეული სასურველი შედეგი, ვინაიდან მიწაში დაგვიანებით ჩაყრილი თესლი ისეთი ნაყოფიერი არ იქნება. გარდა ამისა გაძნელებულია უკვე არსებულ თესლის მიწოდება იმ რაიონებისათვის, რომელნიც რკინის გზას არიან დაშორებულნი. შარა გზის ტრანსპორტი ჩვენ ნაკლებად მოგვეპოვება. თესლის მიწოდების საქმეში ჩვენ არ უნდა შევჩერდეთ არავითარ ზომის წინაშე, ფულის ხარჯი იქნება ეს თუ ტვირთ ზიდვის გადასახადის მაქსიმალური გამოყენება, ან სხვა ღონისძიებანი. არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის მომარაგებას ცოცხალი და მკვდარი ინვენტარით. ვის არ ახსოვს, მაგ., ქართლში ექვსი და რვა უღლიანი გუთანი, რომელიც შავ, მაგარ მიწას დიდ სიღრმეზე ბარაქიანად ქვალავდა. ბოლო წლებში მომუშავე საქონლის რიცხვი თან და თან მცირდებოდა, იმპერიალისტურ და შემდეგი ომებით გამოწვეულ გარემოებებსა და გაჭირვებასთან დაკავშირებით. ახლა ამ მხრივ დიდი კრიზისია სოფლად. ამასთან საგრძნობია სასოფლო-სამეურნეო იარაღების ნაკლებობაც. გლეხობის მეტ ნაწილს ტრადიციული თოხის, პრიმიტიულ გუთნის და სახნისის მეტი არა გააჩნია რა. ამ სფეროში მიწად-მოქმედების კომისარიატი, შესაძლებლობის ფარგლებში, ეშველება გლეხობას და აწვდის მის განკარგულებაში მყოფ იარაღებს. ამასთან უნდა იქნეს მოწყობილი ფართე ურთიერთი დახმარების ორგანიზაცია. ვისაც ყავს მომუშავე პირუტყვი, ეჭვი არ არის, მან უნდა დაახმაროს ის თავის მეზობლებს. ამ მიმართულებით გვმართებს სათანადო აგიტაციის გაჩაღება და იძულებითი ზომების მიღებაც, თუ ეს აუცილებელი შეიქნა. შემდეგ საჭიროა სამეურნეო დამუშავების გაუმჯობესებულ წესების ცოდნას მოკლებულ ხალხს დავეხმაროთ რჩევა-დარიგების მიცემით. ეს შეადგენს საბჭოთა სამსახურში მყოფ და სხვა აგრონომებისა და მცოდნე პირების პირდაპირ მოვალეობას.

სრული საფუძველი გვაქვს იმედი ვიქონიოთ, რომ ამ და სხვა ღონისძიებათა გატარებით თესვის ფრონტზე უეჭველ გამარჯვებას მოვიპოვებთ. მხოლოდ საჭიროა ერთიანი გეგმით და ხელი ხელ ჩაკიდებულად ყველა ძალების მაქსიმალური ამოძრავება.

განვიმსჭვალოთ თესვის საქმის უაღრესი მნიშვნელობით და მთელი ძალღონით შევსოთ ფრონტს, რომელზედაც დამოკიდებულია მშრომელი ხალხის ფიზიკური და პოლიტიკური ყოფნა არ ყოფნის საკითხი. დრო არ გვიცდის, აპრილი, თესვის თვე, უკვე დადგა, და ყველამ პირნათლად შევასრულოთ ჩვენი წმინდა მოვალეობა.

გ. ძ.

საბჭოთა რუსეთის ცნობის შესახებ

მოსკოვი, 31 მარტი (რადიო). ლონდონიდან 27 მარტის თარიღით იუწყებიან: თემთა პალატაში 3 აპრილს განზრახულ დებატების დროს იქნება დასმული საკითხი საბჭოთა რუსეთის იურიდიულად ცნობის შესახებ. გაზეთი „დეილი ქრონიკლი" აღნიშნავს, რომ რაც უფრო ახლოვდება გენუას კონფერენცია. მით უფრო ისმება საკითხი საბჭოთა რუსეთის ცნობის შესახებ პირველ რიგზე „ბრიტანეთის საზოგადოებრივი აზრის ყველაზე უფრო გამოჩენილი წარმომადგენლები, ამბობს გაზეთი, აშკარად ღიარებენ ცნობის საჭიროებას და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი პრემიერი ჰპოვებს საზღვარ-გარეთ საკმაო მომხრეებს". „დეილი ექსპრესი" იუწყება: „კამათის დროს თემთა პალატაში ლოიდ ჯორჯი დაიჭერს მტკიცე პოზიციას და მოითხოვს დაბეჯითებით საბჭოთა მთავრობის, არამც თუ „დე ფაქტო''. „დე იურე'' დაც ცნობას''. იგივე გაზეთი მეთაურში წერს: „უნდა უკუგდებულ იქნას ყოველივე ეჭვიანობა. ბრიტანეთის პრემიერი, როგორც ბრიტანეთის წარმომადგენელი გენუაში, უფლებით იქნება აღჭურვილი იცნოს შესაფერ პირობებში რუსეთში არსებული მთავრობა, რომელიც არის ერთად ერთი შესაძლებელი მთავრობა ყველა საფინანსო და საგარეო ექსპერტები ფიქრობენ, რომ საბჭოთა მთავრობა თუ ცნობილ არ იქნა, ისე არაფერი არ გაკეთდება. ლოიდ ჯორჯი მტკიცედ დარწმუნებულია გენუაში ამ საკითხის აუცილებლად გადაჭრის საჭიროებაში.

შარშანდელი წელი გვალვამ და წვიმამ დაღუპა, მოსავალი არ მოვიდა. წელს უნდა ყოველი ღონისძიება ვიხმაროთ, რათა თავის დროზე აჰყაროთ ყანები, არ დავაგვიანოთ თესვა. წელს შარშანდელზე მეტი ყანები უნდა დავთესოთ.

ჩვენი დაწესებულებების გაწმენდის შესახებ

წვრილ ბურჟუაზიულ სტიქიას თუ ჰქონდა სადმე ნიადაგი ეს ითქმის საბჭოთა საქართველოზეც, სადაც მას აშაგრებს საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი კონტრრევოლიუციონური ინტელიგენციის დიდი ნაწილი.

მართალია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ერთი წლის არსებობის შემდეგ კომუნისტურმა პარტიამ შეძლო თავის რეალური პოლიტიკით მნიშვნელოვანი გარდატეხა მოეხდინა მენშევიზმის შხამით გაჟღენთილ მასებში და აგრეთვე ერთგვარი დეზორგანიზაცია შეეტანა კონტრრევოლიუციონურ ინტელიგენციაში, მაგრამ ეს უკანასკნელი ჩვენში კიდევ დაუცხრომელ მოწინააღმდეგე ძალას წარმოადგენს და ამიტომ დაგვჭირდება სათანადო ზომების მიღება.

რევოლიუციის ხუთი წლის შემდეგ ჩვენმა მტრებმა ბევრი რამ ისწავლეს და მათ შორის ბრძოლის მეთოდებიც; იქ სადაც აშკარა ბრძოლა მიზანშეუწონელია, ისინი მას დაფარულად აწარმოებენ და თითქოს პირველი შეხედვით შერიგების ნიადაგზე დამდგარი ზურგს უკან ღრმა ორმოს თხრიან, წინასწარ განზრახული მიზნით, თავის შეურიგებელ მოწინააღმდეგისათვის. მართლაც რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციის პირველ პერიოდში ინტელიგენციის გრანდიოზულ საბოტაჟის მკაცრი დამარცხების გაკვეთილის შემდეგ, ადგილობრივი ინტელიგენცია თითქოს დაადგა შერიგების და თანამშრომლობის გზას. მაგრამ ეს პირველი შეხედვით. მან აშკარა ბრძოლა მიატოვა იმდენად, რამდენადაც ამას უკარნახებდა თავდაცვის და პირადი კეთილ დღეობის ინტერესები არსებითად ის კვლავ მტრობს მშრომელთა ხელისუფლებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი კარგათ ითვალისწინებს რა სახელმწიფოებრივ აღმშენებლობისათვის ინტელექტუალურ მუშაკების და სხვა და სხვა „სპეცების" საჭიროებას, მიდის დათმობაზე და ცდილობს მათ ერთგვარ უზრუნველყოფას მშრომელთა სახელმწიფოს პატიოსან სამსახურისათვის. საბჭოთა ხელისუფლების ასეთმა პოლიტიკამ ერთგვარი გამოხმაურება ჰპოვა ბევრ სინიდისიერ ინტელიგენტსა და საქმის მცოდნე პირში. მაგრამ ამ უკანასკნელების რიცხვი იფარება საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილ წვრილ ბურჟუაზიული ინტელიგენციით.

ამ ჟამად ჩვენი სახელმწიფოებრივი მექანიზმის ჭუჭრუტანებში გაბჯენილია ეს წვრილ ბურჟუაზიული მასა და ცდილობს შიგნიდან ხის მატლივით დახრას ის და ამით დაშალოს მშრომელთა დიქტატურის აპარატი. ისინი არა მარტო შითქმა-მოთქმით, ათასნაირი ჭორებით, ცილის წამებით სცდილობენ ჩირქი მოსცხონ საბჭოთა ხელისუფლებას, არამედ ხშირათ თავიანთი პრაქტიკული ნაბიჯებით, მათზე ჩაბარებული საქმის განზრახ დაბრკოლებითა, გაჭიანურებით და ზოგჯერ ბოროტ მოქმედებით, ძირს უთხრიან არსებულ წესწყობილებას. ჩვენ პრესაში იყო აღნიშნული შემთხვევა, როდესაც მთავრობის დეკრეტები და დადგენილებები ტარდება ადგილებზე სხვა და სხვა პასუხისმგებელი მოსამსახურეების მიერ სრულიად დამახინჯებულად და უკუღმართად. იყო მაგალითი, როდესაც საბჭოთა საქართველოში სახალხო მოსამართლეს გამოაქვს განაჩენი მემამულის სასარგებლოდ მისთვის გლეხების მიერ ღალის გადახდის შესახებ. ჩვენ არ შევეხებით იმ მრავალ ფაქტს, რომლებიც მოწმობენ, რომ როგორც ცენტრში, ისე პერიფერიებში ბევრი მოხელე ბოროტად იყენებს თავის მდგომარეობას, როგორც სახელმწიფოს წინააღმდეგ პოლიტიკური მოსაზრებით, ისე პირადი ინტერესების დაკმაყოფილებისათვის. ჩვენ მხოლოდ მივუთითებთ მკითხველს ჩვენი გაზეთის გუშინწინდელ ნომერში მოთავსებულ ამხ. რუხაძის საყურადღებო წერილს ბორჯომიდან, სადაც ის აღნიშნავს, რომ გასულ წელს ახალთუმანში მისი რევიზიის შემდეგ როგორც საკურორტო ისე ფოსტა ტელეგრაფის სამმართველოებში აღმოჩნდა დიდი დეფიციტები, უდავო ბოროტმოქმედების სახით, მაგრამ უკვე რვა თვე გასულა და დამნაშავე არავინ არ ყოფილა მიცემული პასუხისგებაში, არამედ „მას საშუალება მისცეს დაეთხოვა ყველა ის მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც საბჭოთა ინტერესებს მურჯათ უდგენ და დანაშაულის ბოროტებას ამჟღავნებდნენ".

ეს ფაქტი კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთია იმისი, რომ ბევრ ჩვენ დაწესებულებებში მოკალათებული სხვა და სხვა ჯურის კონტრრევოლიუციონური ელემენტები არა მარტო ცდილობენ საბჭოთა ხელისუფლების სახელის გატეხას და თავიანთი ბოროტ მოქმედებებით აწიავებენ ხალხის დოვლათს, არამედ ახერხებენ ხელიდან დაუძვრენ მართლმსაჯულებასაც.

ჩვენ პოლიტიკური თვალსაზრისით უნდა შევხედოთ ასეთ ბოროტ-მოქმედებას მაშინ, როდესაც წვრილ ბურჟუაზიული სტიქია ცდილობს ყოველგვარი საშუალება გამოიყენოს არსებულ წესწყობილების დასაშლელად. ანალოგიური ფაქტები, რომლებიც ხშირათ მასიურ ხასიათს ღებულობენ, საფრთხეს წარმოადგენენ ახალგაზრდა სახელმწიფოსათვის და ამიტომ საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს დაწესებულებებში მოსამსახურეთა შემადგენლობას, მათ განწყობილებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი და ამის და მიხედვით ამ დაწესებულების გაწმენდას. შტატების განძრახული შემცირების დროს ეს უნდა ვიქონიოთ მხედველობაში.

ა. ა—ნი.

მთელი ჩვენი ყურადღება, ჩვენი ძალღონე, უნარი და საქმიანობა თავის დროით ყანების დათესვისაკენ უნდა იქნეს მიმართული.

სამოქალაქო კოოპერაციის დაპყრობა

საერთოდ ყოველი დარგის კოოპერაციის და კერძოთ მომხმარებელ კოოპერაციის უმთავრესი დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ მომხმარებელი გაანთავისუფლოს იმ უზომო ჯაყვლეფისაგან, რომელსაც ეწევა მწარმოებელსა და მომხმარებელს შუა გაჩხირული ჩარჩ სპეკულიანტი.

ეს მეტად დიდი მიზანია და მისი სავსებით შესრულება დღევანდელ პირობებში თუ შეუძლებელი არა, მეტად ძნელია მაინც.

მაგრამ კოოპერაციას უმეტეს შემთხვევაში ეს მიზანი არამც თუ შესრულებული, არამედ დავიწყებულიც კი აქვს, ნამეტურ სამოქალაქო კოოპერაციას და სპეკულიაციასთან ბრძოლის მაგიერათ, ის ხშირათ თანამშრომლობს მასთან.

საკითხი რომ დადგეს ისე, თუ ვინ ვის იყენებს: სპეკულიაცია კოოპერაციას თუ კოოპერაცია სპეკულიაციას, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს უკანასკნელი პირველს, ვინაიდან ის საქონელი, რომელსაც კოოპერაცია მომხმარებელს აწვდის, სრულიადაც არ არის სპეკულიანტის და შუამავლის პროცენტებისაგან განთავისუფლებული.

საქმე იმაშია, რომ ჩვენს კოოპერაციას შემძენი აპარატი არ გააჩნია და თუ გააჩნია ძალიან სუსტი. ამიტომ ეს აპარატი არა იშვიათად ადგილებზე და მწარმოებლისა და პირველ ხელიდან კი არ იძენს მომხმარებლისათვის მისაწოდებელ საქონელს, არამედ სპეკულიანტისა და მის კონტრაგენტისაგან. ეს თუ რამდენიმეთ კიდევ შესაწყნარებელია უცხოეთის საქონლის შეძენაში, შეუწყნარებელი და ყოვლად მიუღებელია ადგილობრივი ბაზრის ნაწარმოების ამ გზით შეძენა.

ასეთ პირობებში კოოპერაცია ზედმეტი ბარგიც კი ხდება მომხმარებლისათვის, ვინაიდან ის ზედრავს მომხმარებელს თავის ერთობ მრავალრიცხოვანი შტატით, და არ ეხმარება და შველის. ამიტომაცაა რომ ადგილობრივი ბაზრის ზოგიერთი ნაწარმოები კოოპერატივებში ზოგჯერ უფრო ძვირათ და ზოგჯერაც იმავე ფასში იყიდება, როგორც კერძო მოვაჭრესთან.

ამ მხრივ განსაკუთრებით დასნეულებული და დაავადებულია სამოქალაქო კოოპერაცია. ვისაც კი ამ კოოპერაციების ცენტრების ახლო გაუვლია, ის იოლათ შეამჩნევდა მის კარებთან სპეკულიანტების ფუთფუთს. უცხოეთის და ადგილობრივი სპეკულიანტები ხშირათ თავის კომბინაციებს კოოპერაციის საშუალებით იოლათ აკეთებენ. და ყოველივე ეს ხდება მაშინ, როდესაც კოოპერაციას შეურიგებელი ფრონტი უნდა ჰქონდეს გამართული სპეკულიაციასთან.

ბევრი დაიწერა და კიდევ უფრო ბევრი ითქვა სამოქალაქო კოოპერაციის დაპყრობაზე. საჭიროა და დროა, რომ ეს ნათქვამ დაწერილი საქმითაც შესრულდეს. კოოპერაცია უნდა განთავისუფლდეს იმათი თანამშრომლობისა და აგენტობისაგან, ვის წინააღმდეგაც დაუნდობელი ბრძოლა მართებს მას.

გ. მეზუკი

* * *

სიმშილი მძვინვარებს ჩვენს ქვეყანაში! მომავალში მისი თავიდან ასაცილებლათ საჭიროა ყველა ყანების დათესვა.

რადიო-დეპეშები

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

თესვის კამპანია.

საუბარი ამხ. კრასინთან.

მოსკოვი. 31 მარტი, (რადიო) „პრავდის“ კორესპონდენტთან საუბარში ამხ კრასინმა განაცხადა: მოუსავლობით დაზიანებულ რაიონების მომარაგება თესლით სწარმოებს როგორც რუსეთის შიდა გუბერნიებიდან, ისე იმ თესლით, რომელიც შესყიდულია ამერიკაში, შვეციაში, პოლონეთში, ბალტიის სახელმწიფოებში, რუმინეთში და ბოლგარეთში. თვითეულ 4 ვაგონ თესლს, ვოლგის მხარეში გაგზავნილს აუცილებლად მიყვება ერთი ვაგონი სურსათი, რათა დამშეულ რაიონებში გაგზავნილი თესლი არ იქნას მოხმარებული საჭმელად. საერთო რიცხვი, როგორც საგარეო ვაჭრობის გაერთიანებულ კომისარიატის აპარატების უშუალოდ ისე ამერ. რუს. ორგანიზაციის და ნანსენის საშუალებით დამზადებული სათესი მასალის შეადგენს ცენტრისასათვის 10.400,000 ფუთს, სამხრეთ-აღმოსავლეთისთვის 1.034,000 ფუთს და უკრაინისათვის—1.984,000 ფუთს ამერიკიდან წამოსულ ტვირთის პარალელურად მოდიოდა სურსათების ტვირთი გამოგზავნილი ამერ. რუსეთის ორგანიზაციის, ნანსენის და სხვა ქველმოქმედი ორგანიზაციების მიერ, და აგრეთვე მოდიოდა ნახშირი და სხვა ტვირთი სხვა და სხვა კომისარიატებისთვის, საგარეო ვაჭრობის გაერთიანებულ კომისარიატის დაკვეთით. გადმოტანის ამოცანა, ტვირთის დიდი რიცხვის და მცირე დროს გამო გართულდა იმით, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში, კოპენგაგენი სავსებით მოწყვეტილია ზღვას. გემები მარცვლებით რომელნიც მოდიოდნენ ამერიკიდან, უნდა გაჩერებულიყვენ ყინულის ველებთან და ეცადათ დარის გამოცვლისთვის. მხოლოდ 1 მარტს შესძლეს გემებმა ადგილიდან დაძვრა. თუ მივიღებთ მხედველობაში რომ ბალტიის ნავთსადგურებში მხოლოდ 1 თებერვლიდან 10 მარტამდე მოვიდა 61 გემი საერთოდ 7 მილიონი ფუთი ტვირთით და ათი მარტისთვის იმყოფებოდენ გზაში ამ ნავთსადგურებისაგან კიდევ 49 გემი, დაახლოებით 10 მილიონამდე ფუთი ტვირთით, მაშინ შეიძლება წარმოვიდგინოთ რანაირი სიძნელე და რა დაბრკოლება შეგვხდა მის განსატვირთავად და უმთავრესად მისი შემდეგ გადატანაში იმ გარემოების გამო, რომ მთელი გეგმა გემების მოსვლისა ჩაშალა ბალტიის ზღვის და სრუტეების მოულოდნელმა გაყინვამ. გემების გაჩერების გამო დაიკარგა თითქმის 3 კვირა. რიაზან-ურალის, სიზრანო-ვიაზმის და მოსკოვ-ყაზანის გზებზე გაიკრა გზა მრავალ ათასი ვაგონებით. ბალტიის და შავი ზღვის ნავთსადგურებში ცარიელი ვაგონების მიწოდება შემცირდა მინიმუმდე, დაარსებულ იქნა განსაკუთრებული საგანგებო კომისია „ჩრეზკომტრანი“, რომელსაც მიენიჭა ფართე უფლებები. „ჩრეზკომტრან“-მა დააგზავნა უფრო უნეგიშოდ მდგომარე გზებზე საგანგებო რწმუნებულები ძლიერ ფართე რწმუნებებით ცარიელი ვაგონების მიწოდების გასაძლიერებლად დაარსებულ იქნა რიგი გადასაგზავნი პუნქტებისა. გადმოსატვირთ პუნქტებში მარშრუტის ნაწილის განტვირთვის წყალობით, მცირდება ესტონეთის და ლატვიის ცარიელ ვაგონების მანძილის სიგრძე მიღებულია ზომები ტვირთის მეორე ადგილებზე დაგზავნის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ამ გზით შეუძლებელია მარშრუტის დანიშნულ ადგილზე მისვლა. მოხერხდა ნავთსადგურებში გემების განტვირთვის სათანადო სიმაღლეზე დაყენება. არ გვგონია რომ მუშების დაყოვნება მოუხდებათ. მიღებულია ენერგიული ზომები დონის აუზის და ხაზღვარ-გარედან მიღებულ ქვანახშირის მიწოდების გასაძლიერებლად. ყველა ამ ზომებმა გააუმჯობესეს სამეურნეო აღმშენებლობის მდგომარეობა.

საუბარი ამხ. რუდზუტაკთან.

მოსკოვი 31 მარტი, (რადიო) ჟურნალისტებთან საუბარის დროს, სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს გენერალურმა მდივანმა—ამხ. რუდზუტაკმა განაცხადა: „მე არ შემიძლიან გენუაში შეხვედრა ჩავთვალო საქმიან შეხვედრათ; უფრო სწორათ რომ ვსთქვა ეს არის დიპლომატიური შეხვედრა. იმ შემთხვევაში თუ ჩვენ არ წამოგვიყენეს ისეთი მოთხოვნილებანი, რომელიც იძულებულ ჰყოფს საბჭოთა რუსეთს დაუყოვნებლივ შესწყვიტოს მოლაპარაკება,—და მე ვფიქრობ ისეთ მოთხოვნილებებს ადგილი არ ექნება,—ამ შემთხვევაში მოლაპარაკება გადავა საქმიან შეთანხმებისა და მრავალი თათბირის სფეროში ჩვენი ურთიერთობის შესახებ; აქ იქნება მთელი რიგი ფინანსიური და ეკონომიური საკითხებისა. ევროპის კაპიტალისტები, იმის შემდეგ რაც მათ ვერ მოახერხეს ჩვენი დამარცხება იარაღის საშვალებით, შეეცდებიან აწარმოონ ახალი ომი, მაგრამ უსისხლოდ—ეკონომიურ ნიადაგზე. მათ ალბათ იმედი აქვთ, რომ ჩვენი დაპყრობა და დამარცხება ადვილი საქმე იქნება აქ, ჩვენს ქვეყანაში, შიგნიდან, ჩვენი ვაჭრობისა და მრეწველობის პირობებში. მაგრამ ვერ დაგვიჭერენ. რაიმე, სრულიად განსაკუთრებულ უპირატესობას ჩვენ ვერ მივანიჭებთ ევროპის კაპიტალისტებს. ჩვენ ისევე ფხიზლათ დავიცავთ ეკონომიურ ფრონტს, როგორც სამხედროზე ვიბრძოდით ყოჩაღათ. რაც შეეხება კავშირთა წარმომადგენლობას გენუას კონფერენციაზე, ეს მონაწილეობა მე მესმის, როგორც საუკეთესო გარანტია მშრომელთა ინტერესების უზრუნველსაყოფად საკონცესიო ხელშეკრულებათა დადების დროს. გენუას კონფერენცია არ შეუდგება კონკრეტულ ხელშეკრულებათა განხილვას. მაგრამ პროფკავშირთა წარმომადგენლების მონაწილეობა მაჩვენებელია რუსეთის მუშურ-გლეხური მთავრობის ხასიათისა—თუ მოლაპარაკებაზე მიდის მთავრობის წარმომადგენელნი, აქ მონაწილეობას უნდა ღებულობდეს მუშათა წარმომადგენელნიც. ჩვენ მიწვეულნი ვართ კონფერენციაზე არა როგორც სპეციალისტები შრომის საკითხებისა, არამედ როგორც წარმომადგენელნი საბჭოთა რუსეთის პროლეტარული მთავრობისა კაპიტალისტური ევროპის წინაშე; ჩვენი წარმომადგენლობა ერთ რამეს ადასტურებს—იმას, რომ მუშათა კლასი მონაწილეობას იღებს სახელმწიფოებრივი პოლიტიკის უმთავრეს კითხვების გადაჭრაში.

გენუას კონფერენცია

ნაუენი. 31 მარტი, (რადიო). ჩემბერლენმა თემთა პალატის უკანასკნელ სხდომაზე მთავრობის სახელით ოფიციალურად განაცხადა, რომ ლოიდ ჯორჯს განზრახვა აქვს სთხოვოს პალატას დასვას საკითხი მთავრობისადმი ნდობის შესახებ მომავალ გენუას კონფერენციასთან დაკავშირებით. ამავე დროს პალატის მოსაწონებლად დასმულ იქნება რეზოლიუციები, მიღებულნი უმაღლეს საბჭოს მიერ კანაში, რადგან ეს რეზოლიუციები უნდა გამოიყენონ ბაზად გენუას კონფერენციისთვის.

ლონდონის გაზეთების ცნობით, პოლიტიკურ წრეების დამოკიდებულება ინგლისის მთავრობის გენუას პროგრამისადმი მეტად სხვა და სხვა ნაირია. თემთა პალატის მუშათა ფრაქციები დგანან იმ თვალსაზრისზე, რომ გენუას კონფერენციის პროგრამა მეტად შეზღუდულია, რის გამო მის შემწეობით შეუძლებელია იმ გაჭირვების შემსუბუქება, რომელსაც განიცდის ინგლისის მუშათა კლასი. ლიბერალები თავიანთ პოზიციას გენუას პროგრამისა და ლოიდ ჯორჯის მიმართ უკავშირებენ იმ პასუხს, რომელსაც გასცემს ჩერჩილი ასკვიტის შეკითხვაზე იმის შესახებ, თუ რომელი საკითხები იქნებიან ფაქტიურად განხილულნი გენუას კონფერენციაზე და რომელნი მხოლოდ ფორმის გულისთვის არიან შეტანილნი პროგრამაში.

რუსეთის დელეგაციის დაცვა.

ბერლინი. 38 მარტი, (რადიო). „ტაიმსის“ ცნობით, რუსეთის დელეგაციას გენუაში მიეცემა ბინა რაპალოში, გენუიდან 30 ვერსტის სიშორეზე მისი ბინა სასტიკად იქნება დაცული მოზრდილი რაზმით—200 ჯარის კაცით.

ბორდო. 31 მარტი, (რადიო) რუსეთის დელეგაცია ხუშაბათს მოვიდა რიგაში. მოსულთა შორის ლენინი არაა. დელეგაციის სათავეში დგას ჩიჩერინი.

ფაშისტები და კომუნისტები.

პარიზი. 31 მარტი, (რადიო). ფაშისტების ცენტრალურმა კომიტეტმა განაცხადა, რომ ფაშისტები თავს შეიკავებენ და არავითარ დემონსტრაციებს არ მოახდენენ გენუაში კონფერენციის დიდი მნიშვნელობის გამო მხოლოდ იმ პირობით, თუ კომუნისტებიც უარს იტყვიან მანიფესტაციების გამართვაზე.

ჩიჩერინის განცხადება.

ნაუენი. 31 მარტი, (რადიო). ჩიჩერინი აცხადებს, რომ რუსეთის დელეგაციის მოლაპარაკებას საფუძვლად დაედება აღიარება რუსეთში არსებულ რეჟიმისა. რეჟიმის გამოცვლამ შეიძლება განსაცდელში ჩააგდოს თვით საბჭოთა მთავრობის არსებობაც.

გერმანულ გაზეთების ცნობა.

გერმანული გაზეთები იუწყებიან, რომ ჰელსინგფორსიდან მიღებულ ცნობებით, რუსეთში მზადდება მობილიზაცია ფართე ზომით, რომელიც შეიძლება გამოცხადებულ იქნას ზაფხულამდე. შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ თუ გენუას კონფერენცია მარცხით გათავდა, საბჭოთა მთავრობა დაიწყებს შეტევას რუსეთის მეზობელ სახელმწიფოთა წინააღმდეგ.

საფრანგეთის დელეგაცია.

ბორდო. 31 მარტი, (რადიო). საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრმა გენუას დელეგაციის შემადგენლობაში საფრანგეთის მხრივ დანიშნა ტეხნიკური ექსპერტები, მათ შორის რკინის გზების დირექტორი დიუ კასტელი, მდინარე წყლების ნავთსადგურების დირექტორი დეტსი და საფრანგეთის ნავთსადგურების მთავარი ინჟინერი ბეკარე. ამას გარდა დელეგაციაში შევლენ მთავარი ინჟინერი მაგისტრალურ გზებისა და ორი გემის პატრონი.

ამერიკის ოფიციალური განცხადება.

ბორდო. 31 მარტი, (რადიო). ამერიკის მთავრობამ ოფიციალურად აცნობა იტალიის მთავრობას, რომ ამერიკას ოფიციალური წარმომადგენელი არ ეყოლება გენუას კონფერენციაზე. ამასთანავე მან აცნობა, რომ შეერთებულ შტატების ელჩს რომში მიენდო დაესწროს გენუას კონფერენციაზე როგორადაც თვალყურის მგდებელი.

კაპიტალიზმის სამეფოებში

ვ. ლენინი.

ბორდო. 31 მარტი. რადიო. იმ დროს, როდესაც ევროპის პრესა დაწვრილებით იტყობინებს ვ. ლენინის მძიმე ავადმყოფობის შესახებ, რადიო მოსკოვიდან იუწყება, რომ საბჭოთა მთავრობის თავმჯდომარემ გრძელი პოლიტიკური სიტყვა წარმოსთქვა სრულიად რუსეთის კომუნისტურ პარტიის მე 11 ყრილობაზე. პარიზის ზოგიერთი გაზეთები ამის გამო სწერენ, რომ ლენინის გამოსვლა წარმოადგენს საუკეთესო პასუხს „რეველის ცნობაზე იმის შესახებ, რომ ლენინი დაუძლურებულია დამბლისაგან, ავადმყოფობა ემუქრება მის სიცოცხლეს და მას მოუხდება უარი სთქვას პოლიტიკურ მოღვაწეობაზე“.

გერმანიის სესხი.

ნაუენი. 31 მარტი. რადიო. ტეხნიკური კომისია შეუდგა გერმანიისათვის საერთაშორისო სესხის მიცემის პირობების საკითხის განხილვას. ამ კომისიაში შევლენ იმ სახელმწიფოთა დელეგატები, რომლებსაც არ ჰყავთ წარმომადგენლები საკონტრიბუციო კომისიაში.

ვირტის მთავრობის ნდობის გამოცხადება.

ნაუენი, 31 მარტი. რადიო. რეიხსტაგმა ხმის უმეტესობით გამოუცხადა ნდობა ვირტის მთავრობას. ამავე დროს გამოაცხადეს პროტესტი საკონტრიბუციო კომისიის წინააღმდეგ.

ამერიკა პროტესტს აცხადებს.

ბერლინი, 31 მარტი. რადიო. „ნიუიორკ-ტრიბუნის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ პრეზიდენტი გარდინგი წინააღმდეგია ანტანტის საკონტრიბუციო პოლიტიკისა, რომელშიაც იგი ხედავს არა მარტო გერმანიის სახელმწიფოებრივ მეურნეობის საბოლოვოდ დაღუპვის გზას, არამედ სერიოზულ საშიშროებას ამერიკისათვის. ბოლოს გარდინგი პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ საკონტრიბუციო კომისიამ არ შეიტყო ამერიკის ექსპერტების აზრი.

ბელგიის მოთხოვნილებანი.

ბერლინი, 31 მარ. რადიო. გერმანიის პრესას ძლიერ აკვირვებს ბელგიის მოთხოვნილებები გერმანიაში საოკუპაციო ზონის გადიდების შესახებ იმ დროს როდესაც ამერიკა, ინგლისი და იტალია ყოველ ზომებს ხმარობენ საოკუპაციო ვადის შესამცირებლად, რომელიც არის დამღუპველი როგორც პოლიტიკურად ისე ეკონომიურად არა მარტო გერმანიისათვის, არამედ თვით ანტანტისთვისაც.

ნაუენი. 31 მარტი. (რადიო). ბელგიამ დიისბურგში გამოაცხადა საალყო წესები. ზოგიერთ ადგილებში დაპატიმრებულია გერმანელი დარაჯები, რომლებიც გაგზავნეს ოკუპაციით დაჭერილ რაიონებში. დაპატიმრების მიზეზები არ არის გამორკვეული.

ზარბაზნების ენით.

ნაუენი. 31 მარტი. (რადიო). ალმდგენელ კომისიის თავმჯდომარემ დიბუამ პარიზში კომერსანტების და მრეწველობის კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ მოკავშირეები გერმანიას მალე დაუწყებენ ლაპარაკს ზარბაზნების და ხიშტების ენით.

ამერიკის პრეტენზიები.

ბორდო. 31 მარტი. (რადიო) ბერლინში მყოფმა შეერთებულ შტატების ელჩმა ხიუტონმა განაცხადა, რომ მას განზრახვა აქვს დაიწყოს მოლაპარაკება გერმანიაში უცხოელთა საკუთრების აღმადგენელ კომისიის დასამყარებლად. ამერიკის მიერ გერმანიისადმი წაყენებული პრეტენზიები გამოიხატება 450 მილიონ დოლარით.

საფრანგეთი და გერმანია

ბორდო. 31 მარტი. (რადიო) საფრანგეთის პრესა მწუხარებას გამოთქვამს, რომ ვირტმა და რატენაუმ დაიჭირეს მკაცრი პოზიცია საფრანგეთის მიმართ.

„ჟურნალ დე დებას“ აზრით, ვირტის მიერ რეიხსტაგში უკანასკნელად წარმოთქმული სიტყვა სრულიადაც არ ამსუბუქებს მდგომარეობას. რატენაუს სიტყვა კიდეც ამწვავებს შექმნილ მდგომარეობას. „ენტრანსიჟანი“ აღნიშნავს, რომ საფრანგეთი სრულიად ლოიალურად არის განწყობილი და მზად არის დაეხმაროს გერმანიას გადასახადების შესრულებაში. გაზეთი იძლევა კითხვას: მიაჩნია თუ არა ვირტს საჭიროდ 1921 წლის გადახდევინების წესების განახლება, ე. ი. სანქციების შემოღება. გაზეთი ბოლოს აღნიშნავს, რომ საფრანგეთი ბევრჯერ დარჩა იმედებ გაცრუებული და მოტყუებული და ამიტომ იგი ეხლა აღარ დაიხევს უკან თავის მოთხოვნილებებიდან.

პარიზი. 31 მარტი. (რადი) საფრანგეთის ბიუჯეტის განხილვის დროს, პუანკარემ განაცხადა გერმანიის ვალდებულებათა შემდეგი შემცირების შეუძლებლობის შესახებ. ფინანსთა მინისტრმა ლასტერმა აღნიშნა გერმანიისათვის საერთაშორისო სესხის მიცემის საჭიროება მსგავსად იმისა, როგორიც საფრანგეთმა აიღო 1871 წ. კონტრიბუციის ნაწილის გადასახდელად. ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა აგრეთვე საფრანგეთის მიერ სესხის აღების საჭიროება თავის ვალდებულებათა გადახდისათვის.

საოკუპაციო ზონის გაფართოება.

რომი. 31 მარტი. (რადიო). გაზეთ „ტაგის“ ცნობით საფრანგეთი ემზადება რურის ბასეინის ხელმეორედ ოკუპაციისათვის.

მილიუკოვის მოკვლის განზრახვა და ნაბოკოვის მოკვლა.

ნაუენი. 30 მარტი, (რადიო). რუსების კადეტების წარმომადგენელის მილიუკოვის მოხსენების შემდეგ, რომელიც მან გააკეთა ბერლინის ფილანტროპიის დარბაზში ამერიკაში თავის მოგზაურობის დროს მიღებულ შთაბეჭდილებების შესახებ, ნიკოლოზ II ყოფილმა ადიუტანტმა შაბელსკიმ რამოდენიმეჯერმე ესროლა მილიუკოვს, რომელმაც ამავე დროს განაცხადა რომ იგი „შურს იძიებს მეფის მოკვლისათვის“. ბერლინში რუსულ გაზეთის გამომცემელი ნაბოკოვი შეეცადა დაეფარა მილიუკოვი მაგრამ თითონ იქნა მოკლული, მილიუკოვი კი უვნებლად გადარჩა. დაიჭრა კრების სხვა რამოდენიმე წევრი, ზოგი მათგანი მძიმედ. შაბელსკი და მისი თანამონაწილე ტაბარიცკი, რომლებმაც ამასწინათ განიზრახეს აგრეთვე გუჩკოვის მოკვლა, გაიქცენ ბერლინიდან და ამ ჟამად იმყოფებიან მიუნხენში.

მოსკოვი. 31 მარტი, (რადიო) ნაბოკოვის მკვლელი გამოდგა მონარქისტი, ყოფილი პორუჩიკი შალკიბრიკი. იგი დაჭერილია.

გენუას კონფერენციის შესახებ.

ნეიტრალ სახელმწიფოთა წარმომადგენლების თათბირი.

მოსკოვი. 31 მარტი, (რადიო). 4 მარტს ბერნში გაიხსნება ნეიტრალურ სახელმწიფოთა წარმომადგენლების თათბირი გენუას კონფერენციის პროგრამის საკითხზე სამსჯელოდ.

ლიტვა და გენუა.

მოსკოვი. 31 მარტი, (რადიო) ლიტვის ელჩმა განაცხადა, რომ ვილნის საკითხის გარდა ლიტვისათვის საჭირბოროტო საკითხს წარმოადგენს საკითხი მემელის რაიონის შეერთების შესახებ. გენუაში ლიტვის დელეგაცია წარადგენს საფინანსო პროგრამას და ეცდება ვილნის საკითხის გადაჭრას. რუსეთის ვალებს ვერ სცნობს ლიტვა.

* * *

თესლის განაწილება

თესვის კომპანიის მთავარ კომიტეტის წევრის ცნობით ავსტრალიის ხორბალი, რომელიც მიღებულია საზღვარ-გარეთიდან უკვე დანაწილდა და გაიგზავნა შემდეგ რაიონებში:

სიღნაღის მაზრას	2961	ფუთი.
თელავის მაზრას	1961	„
თიონეთისას	1929	„
ბორჩალოსას	5949	„
თბილისის მაზრას	3000	„
დუშეთისას	1920	„
გორისას	3954	„
ცხინვალისას	1930	„
ახალქალაქის	2994	„
ახალციხისას	2011	„
ქუთაისისას	3002	„
რაჭის მაზრას	1915	„
ლეჩხუმისას	1023	„
სენაკის მაზრის	1992	„
ზუგდიდის	1920	„
ოზურგეთის	2974	„

დუშეთის თესვის კომიტეტს მიეცა 500 ფ. ქერი.

გორის მთესავ კომიტეტს მიეცა დამატებითი **სათესი ხორბალი ერთი ვაგონი.**

ახალქალაქის მაზრაში გაიგზავნა კიდევ **ერთი ვაგონი** ავსტრალიის ხორბალი.

შორაპნის მაზრას დამატებით **ერთი ვაგონი ხორბალი.**

რაჭის მაზრას დამატებითი **ერთი ვაგონი სათესი სიმინდი.**

ლეჩხუმის მაზრას გაეგზავნა **ერთი ვაგონი** დამატებითი, ავსტრალიის ხორბალი.

გარდა ამისა საცდელ დაწესებულებებს სოფლის მთესავ კომიტეტებს და კომუნებს დაეგზავნათ დამატებითი 1305 ფ. ავსტრალიის სიმინდი.

მაზრებს დაეგზავნათ 44,720 ფ. ავსტრალიის ხორბალი, დამატებითი დაიგზავნა 1000 ფ ქერი. ვაგონი **სიმინდი სათესლე** და ორი ვაგონი ავსტრალიის ხორბალი.

თესვის შესახებ

23 მარტს განსაკუთრებულმა რწმუნებულმა თესვის კომისიის წევრმა ამხ. [illegible] შემდეგი აცნობა „გრუზიას“.

ომის წინათ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ითესებოდა 600,000 დესიატინა მიწა.

შემდეგ 1915 წელს სათესი მიწის სივრცე შემცირებული იყო ძალზე ომის გამო რომელმაც დიდძალი მუშა მოაშორა თავის სახლსა და კარს.

1921 წელს გლეხებმა მთავრობის დაუხმარებლად დათესეს 440,009 დესიატინა.

მთავრობა დაეხმარა გლეხებს ფულით და სათესი მასალით და 80 000 დესიატინის დასათესათ საკმარისი თესლი გასცა.

დაუთესავად დარჩა 1921 წელს 80.000 დესიატინა.

მიწადმოქმედების კომისარიატს ამ რიგათ მძიმე საქმის გაკეთება ხვდა წილათ.

გლეხობას არ შეუძლიან დათესოს დაუხმარებლათ ის მიწაც, რაც შარშან ჰქონდა დათესილი.

განსაკუთრებით დაზარალეაულია მოუსავლობით შორაპნის, რაჭის, ლეჩხუმის, ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრები.

მოუსავლობამ დააზარალა აგრეთვე ქუთაისის, ოზურგეთის, გორის დუშეთის და თიონეთის მაზრები.

რწმუნებულის აზრით საჭიროა შარშანდელის კვალობაზე რომ დავთესოთ, 480.000 ფუთი თესლი.

ბრძოლა სიმშილთან

ცირკულიარულად

ძვირფასო ამხანაგებო!

ვოლგის მხარის და საბჭოთა რუსეთის სხვა ოლქების ჯერ არყოფილ, საშინელ შიმშილს ზედ დაერთო კიდევ საქართველოს სიმშილიც. მილიონ კაცების დახსნა სიმშილით სიკვდილისგან შესაძლებელია მხოლოდ როგორც სახელმწიფო ორგანოების, ისე საერთოთ მთელი ხალხის უდიდესი მეცადინეობით

აქამდე ჩვენში, საქართველოში, დამშეულთა დახმარება იყო მეტად მცირე; ამასთან მას ჰქონდა შემთხვევითი და კერძო ქველმოქმედების ხასიათი.

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალური კომიტეტი აყენებს შიმშილობის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანას, როგორც ბრძოლის მასიურ, პოლიტიკურ და საქმიან კამპანიას. მასში მონაწილეობა უნდა მიიღონ ჩვენი პარტიის გამოუკლებლივ ყველა წევრებმა. დამშეულთა დახმარება მაშინ გამოიღებს სასურველ ნაყოფს, როდესაც იგი გადაიქცევა მუდმივ, სისტემატიურ, რევოლიუციონურ საქმეთ.

საქართველოს კ. პ. ც. კ. ავალებს პარტიის ყველა წევრებს, რომლებიც მუშაობენ პროფესიონალურ, კოოპერატიულ, სახელმწიფო და საზოგადო ორგანიზაციებში, ქარხნებსა და ფაბრიკებში **შეურყევლად გაატარონ ეს პრინციპები რეგულიარულ დახმარებისა** ყველა კრებებზე და კონფერენციებზე. ადგილებზე მეტადრე დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ კამპანიას და მთელი თავიანთი ძალა და ღონე მოახმარონ მას.

საქართველოს კ. პ. ც. კ. პარტიულ ორგანიზაციების შეგნებას და სიმგრეს დააფასებს იმ დახმარების რაოდენობის მიხედვით, რომელსაც ისინი გაუწევენ **საქართველოს და რუსეთის** დამშეულებს. ეს ცირკულიარი უნდა განხილულ იქნას ყველა პარტიულ კომიტეტების და ყოველ ცალკე **უჯრედის** მიერ. დამშეულთა დამხმარე კომიტეტების მთელი წარსული მუშაობა დღევანდლამდე უნდა შემოწმებულ იქნას და სრული ანგარიში წარედგინოს **ც. კ. არა უგვიანეს აპრილის თვისა.**

შემწეობის შედეგების შესახებ ყოველთვეს უნდა წარედგინოს ც. კ. სპეციალური ანგარიშები. ც. კ. ბეჯითად ადევნებს თვალყურს ამ ცირკულიარის შესრულებას ადგილებზე და ეცდება, რომ ამ ხანგრძლივმა კამპანიამ ახალ მოსავლამდე იწარმოვოს რაც კი შეიძლება მეტის სიძლიერით.

კომუნისტური სალამით ც. კ. მდივანი **მამულია.**

საქართველოს დამშეულთა დამხმარე კომიტეტის განცხადება.

საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტამდის მოაღწია ხმებმა, რომ ზოგიერთი სამაზრო დამხმარე კომიტეტები საქმის სათანადო გამოურკვევლად აძლევენ მოწმებებს ვაგონების უფასოდ მიღების შესახებ და მაზრიდან სურსათის და სათეს მასალის დამშეულ რაიონებში გატანის ნებართვას. ამ მოწმობებით შეუძლიათ ისარგებლონ ისეთმა პირებმა, რომელთაც არაფერი საერთო არა აქვთ დამშეულთა დახმარების საქმესთან.

ვაცნობებთ რა ამას ყველა სამაზრო დამშეულთა დამხმარე კომიტეტებს და სამაზრო ალმასკომებს, მთავარი კომიტეტი აფრთხილებს, რომ აღმოჩნდება თუ არა დამშეულთა დახმარების წმინდა საქმისადმი ასეთი დ დევარი მოპყრობა, დამნაშავენი, რ გორც მოწმობის გამცემნი, ისე პირნი, რომლებიც ისარგებლებ ასეთ მოწმობებით, მიცემული იქ ბიან სისხლის სამართლით პასუხ გებაში რევოლიუციონურ დროის კ ნონების მთელი სიმკაცრით. საქარ ველოს დამშეულთა მთავარ კომიტ ტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე** მდივანი **ა. მენაბდე.**

რესპუბლიკის საზღვრების დაკეტვ

სრულიად საქართველოს ცენტრ ლურ ალმასრულებელი კომიტე თავმჯდომარის ამხ. ფილიპე მახა ძის და სახალხო კომისართა საბჭ თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ოკუჯავას ხელის მოწერით გაეგზა ნათ შემდეგი დეპეშა:

როსტოვში—ალმასრულებელ კომ ტეტს, ასლი ცენტროევაკ; ნოვორ სისკში—ალმასრულებელ კომიტე ასლი საევაკუაციო სამმართველ უფროსს; კავკავში—მთიელთა რე პუბლიკის ცენტრალურ ალმასრულ ბელ კომიტეტის თავმჯდომარეს, ა ლი სახალხო კომისართა საბჭოს თ ვმჯდომარეს; ბათომში—აჭარისტან სახალხო კომისართა საბჭოს თა ჯდომარეს, ასლი ალმასრულებელ კ მიტეტის თავმჯდომარეს; ამიერ-კ კასიის საგანგებო კომისიის თავმჯდ მარეს, საქართველოს გარეშე საქმ თა კომისარს, საქართველოს საგ გებო კომისიის თავმჯდომარეს, ამიე კავკასიის რესპუბლიკების რკინ გზათა უფროსს, აფხაზეთის ცენტრ ლურ ალმასრულებელ კომიტეტ თავმჯდომარეს, საქართველოს შ ნაგან საქმეთა სახალხო კომისარს.

„სასურსათო კრიზისის მიზეზი რომელსაც განიცდის ამ ჟამად ს ქართველოს სოც. საბჭოთა რესპუ ლიკა სიმშილობისა და ლტოლვილ მოზღვავების გამო, რომელნიც (ლტ ლვილები) მოვიდნენ ჩრდილოეთიდ ზღვით და რკინის გზებით და ამ ჟ მად მარტო ბათომში თავმოყრილ 10,000-ზე მეტი კაცი, მოკლებულ ყოველგვარ საარსებო საშუალებ რომელნიც ხელს უშლიან ტვირთის და სამხედრო ეშელონების მოძრაო ბას, და რომელთა შორისაც მძვინ ვარეობს ეპიდემია—გაუწყებთ, რომ დღეის რიცხვიდან, საქართველო რესპუბლიკის საზღვრები ცხადდებ დაკეტილათ და შემდეგში მოძრაობ ლტოლვილთა საქართველოს სოცი ლისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტ რიტორიაზე შეჩერებულია, გთხოვ სასწრაფო განკარგულების გაცემ სათანადო დაწესებულებებისადმ გთხოვთ გვაცნობოთ ამ დეპეშის მ ღება მარტის 31, 1922 წ.

ონი.

(დეპეშა)

რიცხვი დამშეულთა, რომელთა არა აქვთ არავითარი სახსარი, აღ მატება 32 ათას სულს მთელ მაზრ ში. დაწვრილებითი ცნობები გამო გზავნა ფოსტით, ხალხი სასოწარკვ თილებაშია.

კომიტეტის თავმჯდომარე **წულუ კიძე.**

მოლითის თემი.

ჩვენ თემში არის ენით აუწერელ სიმშილობა. იყო შემთხვევები სიმშ ლით სიკვდილის: სოფელ დეისშ მოკვდა სერგო კიკნაძე, მოლითში— კონსტანტინე ანთიმოზის ძე ცი ცვაძე. ჭარტალში სარდიონ ფცქი ლაძე მეუღლე და შვილი და სო ნებოძირში—გიგლა ნიკოს ძე ცხოვ რებაძე. საჭიროა მთავრობის სას წრაფო დახმარება.

მოლითის თემის ალმასკომი.

ევროპიზაცია თუ რუსიფიკაცია?

პარიზი, „ტანი“ № 22124 ში დაწვრილებით ანალიზს უკეთებს ინგლისის პოლიტიკას რუსეთის საკითხის მიმართ. გაზეთი თავდაპირველად აღნიშნავს ინგლისის კრიტიკულ მდგომარეობას. როცა ქვეყანაში ითვლება 2 მილიონზე მეტი უმუშევარი, სწერს „ტანი“, იგი დგას ეკონომიურ პრობლემის წინ. მაგრამ როდესაც ეს უმუშევრობა განაგრძობს განუწყვეტლივ ზრდას, როდესაც იგი ქრონიკულ ხასიათს ღებულობს, მაშინ ეს ეკონომიური პრობლემა გადაიქცევა პოლიტიკურად. სწორედ ასეთ მდგომარეობაში იმყოფება ინგლისი. უმუშევარნი იქ იმყოფებიან სახელმწიფოს ხარჯზე. ეს უმუშევარნი, გაჭირვების გავლენით, დღე და დღე უფრო მეტს მოითხოვენ იმ დროს, როდესაც სახელმწიფოს საშუალებანი უფრო და უფრო მცირდება. მართალია ინგლისმა უკანასკნელ დროს მოახერხა თავის გამოღებ მრეწველობის უმთავრეს დარგების გაძლიერება მისი აყვანა ნორმალურ ზომამდე და ამ დარგებში მოსპო უმუშევრობა. მთავრობის ცნობებით, ევროპის კონტინენტის ქვეყნები 1921 წლის უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში იღებდნენ ინგლისიდან 8,6,000,000 ტონა ნახშირს ნაცვლად 4,000,000 ტონი რომელიც მიიღეს იმავე წლის პი ველ სამი თვის განმავლობაში. ამავ დროს ამერიკამ, რომელმაც 1921 წ პირველ სამ თვეს მოაწოდა ევროპა 2,600,000 ტონა უკანასკნელ სა თვის განმავლობაში სრულიად მოსპ ნახშირის მოტანა ევროპაში. თვით ბ ენოს-აირესში ინგლისის ქვა ნახშირ იყიდება თითქმის იმავ ფასად, რო გორც ამერიკული, სახელდობრ. 39 ნა —48 ნახ. შილინგად ხოლო ამერი კული ნახშირი 38 შილინგად.

ინგლისის ქვანახშირის ასეთი გა რცელება არის შედეგი მისი შედარ ბით უფრო სიიაფისა, ხოლო ეს იაფ ბა აიხსნება მუშების ხელფასის შ ცირებით. ამასთან დაკავშირებით იძლევა დაისვას საკითხი: დიდხან მოითმენენ დიდი ბრიტანეთის მუშ ბი თავიანთ გაჭირვებას და საჭირ შეიქნება ცოტად თუ ბევრად ახლ მომავალში მათი სამუშაო ხელფასის მ მატება, თუ არა, ინგლისის ასეთ კრიტ კულ იქნებ საშიშ მდგომარეობის დრო ბუნებრივია, რომ ლოიდ ჯორჯი ამ დაა გამოიყენოს ყველა შესაძლებელ საშუალება და არ ერიდება არავი თარ კომბინაციას. ცხადია, რომ მა უთუოდ უნდა იპოვოს რაიმე გამოსა

სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი თაოსნობის საერთო ძალებით უნდა გადავწყვიტოთ ეს გადაუდებელი და უმთავრესი ამოცანა დღევანდელი მომენტის. ყველა ჩვენი ძალებით უნდა შევესიოთ ჩვენ ყანებს. მთელი ჩვენი ენერგია თესვის კამპანია[illegible]

გაზაფხული

ზამთრის სუსხი გათავდა
ნაზ ფერს იღებს დღეები,
ამწვანდა და აყვავდა
ბუჩქნარი და ხეები.

სული ცეცხლის წვიმით სჩქეფს
ავსილა სიხარულით,
ბრძოლის ხალისს დაეძებს
ზღვას გადადის მხარულით...

შენ კი ძლევის ხომალდო!
გეყო ტყვილა თარეში,
მითხარ როდის გამიყვან
შვება-ლხენის მხარეში?!.

უკუნდგარელი.

ვალი ასეთ მდგომარეობიდან. ეს გამოსავალი რუსეთია.

ყველაზე უდიდესი ბაზარი რუსეთია, რომელიც ყველაზე მეტად მსოფლიოში განიცდის საქონლის შიმშილს. სწორედ ამიტომ ინგლისი შურობს გახსნას რუსეთის ბაზარი, მით უმეტეს, რომ სხვები ცდილობენ დაასწრონ მას. ადვილი გასაგებია, რომ ინგლისი შეწუხებულია გაზეთ „ფრანკფურტერ ცაიტუნგში" ეს-ესაა გამოქვეყნებულ ცნობებით იმ შეკვეთებზე, რომლებიც რ. ს. ფ. ს. რ. მისცა ევროპის სხვა და სხვა ქვეყნების 1922 წლის იანვრამდე. (ეს ცნობები ნაანგარიშევია შვედურ კრონებით). ამ ცნობებიდან ჩანს, რომ რუსეთმა საერთოდ შეუკვეთა რკინის გზის ნაწილები 598 მილიონი კრონისა. ამ ჯამიდან გერმანიას წილად ხვდება 45 მილიონი, შვეიცარიას—239 მილიონი და ინგლისს კი მხოლოდ 14 მილიონი. 700 ორთქლმავალიდან, რომლებიც გერმანიას შეუკვეთეს, 47 უკვე ჩაბარებული იყო 1 იანვარს. გასაგებია, რომ ინგლისი ხმარობს ყოველ ღონეს რათა თავის ხელში ჩაიგდოს რუსეთის შეკვეთები. ინგლისის გეგმები მეტად ფართეა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა მოვიყვანოთ გაზ. „დეილი ქრონიკლში" დაბეჭდილი სია იმ წარმოებათა, რომლებითაც ინგლისი ნამეტნავადაა დაინტერესებული და რომლებზედაც დასაარსებლად განზრახულმა საერთაშორისო კონსორციუმმა უნდა გაავრცელოს თავისი გავლენა.

ამ სიაში შედიან: რკინის გზები, სასტუმროები, დოკები, სამელიორაციო სამუშაოები, გემთა-მშენებლობა მრეწველობა, ნავთსადგურების აშენება ტრამვაები, ელექტრონის სადგურები. განა შეიძლება უკეთესი და უფრო ფართე გეგმის მოგონება იმ ქვეყნისთვის, სადაც სუფევს თავისუფლება, კეთილდღეობა, ზავი და პატივისცემა კერძო უფლებისადმი. მაგრამ რუსეთში ეს არაა. რაც შეეხება მშვიდობიან პერსპექტივებს, ესენი მეტად ნისლიანია. ეს იცის ლოიდ-ჯორჯმა, რომელსაც მშვენივრად აქვს გაცნობილი რუსეთის მდგომარეობა. იგი თვალს როდი ხუჭავს ჭეშმარიტების დანახვაზე და თუ იგი მაინც ბეჯითად მოითხოვს გენუას პოლიტიკის გატარებას, თუ იგი ინგლისის საზოგადოების მთელს ყურადღებას ამ პოლიტიკისკენ იზიდავს, მაშ ცხადია მას აქვს საამისო საბუთები. ამაში სჩანს ენერგიული წარმომადგენელი ენერგიული რასისა.

მაგრამ ჩვენ გვსურს, სწერს „ტაიმსი" ჩვენის მხრივ გავაფრთხილოთ ლოიდ ჯორჯი და მოვახსენოთ მას ერთი საფრთხე, რომელიც იქნება მას ვერ გაითვალისწინა.

თუ ლოიდ-ჯორჯი ასე აიმედებს ბრიტანეთის ვაჭრებს და მუშევრებს, ის ამით „დიდ კოზირებს" აძლევს მოსკოვის მთავრობას, აძლევს მას შესაძლებლობას სერიოზული გავლენა იქონიოს ინგლისის შინაგან პოლიტიკაზე.

პოლონეთ-უნგრეთის საიდუმლო ხელშეკრულება

გამომჟღავნებული ინტრიგა

ამ სათაურით ლონდონის გაზეთ „დეილი ჰერალდ"-ში, თებერვლის 21-ის თარიღით, მოთავსებულია სპეციალური კორესპონდენტის დეპეშა ვენიდან შემდეგი შინაარსის:

ვენა. როგორც მე გავიგონე, პოლონეთსა და უნგრეთს ხელი მოუწერიათ ვარშავაში საიდუმლო ხელშეკრულებისათვის. ამ ხელშეკრულების აქვს დიდი მნიშვნელობა, რადგან ის ეხება საკითხს პოლიტიკურ ძალთა განწყობილების შესახებ შუა ევროპაში, მე საშუალება მაქვს მოგცეთ სწორი რეზიუმე ამ ხელშეკრულებას, რომლის შინაარსი კარგად იციან საგარეო საქმეთა სამინისტროს წევრებმა პრაგაში, და რომელიც არის გამოხატულება იმ მეთოდებისა და პრინციპების, რომლებიც აღიარა ოფიციალურმა პოლონეთმა ჩეხოსლოვაკიასთან კავშირის დადების დროს 1921 წლის ოქტომბერში. ამ ჟამათ ირკვევა, რომ პოლონეთმა შეკრა მჭიდრო კავშირი უნგრეთთან. ეს კავშირი, დადებული პრაგის ზურგს უკან, მიმართულია როგორც ჩეხოსლოვაკიის, ისე საბჭოთა რუსეთში არსებულ რეჟიმის წინააღმდეგ.

ხელშეკრულების პირობები

პოლონეთ-უნგრეთის ხელშეკრულების არსებითი შინაარსი გამოიხატება შემდეგში:

1. სანამ უნგრეთი არ შევა ერთა ლიგაში, პოლონეთი მზათაა დაიცვას მისი ინტერესები ამ ლიგაში და ყველგან, სადაც პოლონეთი სარგებლობს გავლენით.

2. პოლონეთი ვალდებულია არ მიიღოს მონაწილეობა უნგრეთის საწინააღმდეგო ომში.

3. სდგას რა იმ თვალსაზრისზე, რომ ყოველგვარი ტერიტორიალური გაძლიერება ჩეხო-სლოვაკიის უნგრეთის ხარჯზე, საფრთხეში ჩააგდებს პოლონეთის რესპუბლიკის მთლიანობას, პოლონეთის მთავრობა მიიღებს ყოველ შესაძლებელ ზომას, სამხედრო ძალის გამოყენებამდი, რათა წინა აღუდგეს ჩეხო-სლოვაკიის მიერ უნგრეთის ტერიტორიის შესაძლებელ ანექსიას.

4. პოლონეთი თანახმაა გაუწიოს დახმარება და მფარველობა სლოვაკიის მოძრაობის მეთაურებს, სლოვაკების ლეგიონების ორგანიზატორებს, ნაციონალ-სლოვაკების საბჭოს და უნგრეთის ყველა პოლიტიკურ პარტიებს, რომელშიც დასთანხმდნენ იმ დებულებებზე, რომლებიც გამომუშავებულ იქნენ 1921 წლის თებერვალში და რომელთა ნიადაგზე მოხდა შეერთება სლოვაკიის დამოუკიდებლობის პარტიასთან.

რუმინია და რუსეთი.

5. იმ შემთხვევაში თუ პოლონეთი დაიწყებს ომს რუსეთთან და რუმინია მიიღებს მონაწილეობას ოპერაციებში პოლონეთის დასახმარებლათ, უნგრეთი თავის მხრით ვალდებულებას იღებს, არ დაეცეს თავზე რუმინიას პოლონეთ-რუმინიის კამპანიის დროს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

6. იმ შემთხვევაში თუ მოხდება კონფლიქტი პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიის შორის, უნგრეთი ვალდებულია დაიცვას პოლონეთის მიმართ მისთვის ხელსაყრელი ნეიტრალიტეტი და გადადგას ისეთი დიპლომატიური ნაბიჯები, რომლებიც სასარგებლო იქნებიან პოლონეთისთვის.

7, აღიარებს რა, რომ ჩეხო-სლოვაკიის ყოველი ახალი ტერიტორიალური გადიდება პოლონეთის ხარჯზე საფრთხეში ჩააყენებს უნგრეთის მთლიანობას, უნგრეთის მთავრობა ვალდებულია იხმაროს ყოველი საშუალება, სამხედრო ძალის მოხმარებამდი, რათა წინააღუდგეს ჩეხო-სლოვაკიის მიერ პოლონეთის ტერიტორიის შესაძლებელ ანექსიას.

დაბოლოს ხელშეკრულების ძალით, რუსეთ-პოლონეთის კონფლიქტის შემთხვევაში, უნგრეთის მთავრობა ვალდებულია ნება დართოს შეკრიბოს უნგრეთის ტერიტორიაზე უნგრელთა მოხალისენი პოლონეთის ჯარის შესავსებათ"

ვარშავის ავანტიურისტები.

ალარავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ, იწვევენ რა რუსეთს კონფერენციაზე, იმპერიალისტური მთავრობები ამზადებენ იმავე დროს ახალ ძალებს საბჭოთა რეჟიმის ასაფეთქებლათ. თუ მათ ეს ვერ მოახერხეს წარსულში, იმედი აქვთ მომავალში მაინც, მაგრამ მათი ქვეყნების ეკონომიური კრიზისის და საზოგადოებრივ ძალთა გაალმასებული ბრძოლის პირობებში ეს საქმე არც ისე ადვილია. ერთი რეაქციონური გაზეთი ინგლისის საქვეყნოთ აღიარებდა აგერ წინაზე, რომ მთელი უბედურება რუსეთის მოწინააღმდეგე დიდი კაპიტალისტური ქვეყნების იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ვერ ახერხებენ შექმნან ერთი მთლიანი ფრონტი შიგნი, თავის ქვეყნებში, რუსეთის წინააღმდეგ, რათა მშრომელთა მასები საბჭოთა რუსეთის დაცვას უყურებენ, როგორც თავის საკუთარ კლასიურ საქმესო. ცხადია ამიტომ ევროპის ბურჟუაზია სცდილობს სხვისი ძალებით თავის საქმის მოჭახრაკებას. ის რაზმავს ამ ძალებს. ესენი არიან უცხოეთში გადახიზნული თეთრგვარდიელები და რუსეთის განაპირა ქვეყნები. ამ უკანასკნელთა შორის „პირველი არს" პოლონეთი. მისი აქტიური მონაწილეობითაა შეკოწიწებული ეგრედ წოდებული „მცირე ანტანტა" და იგივე ავანტიურაში ეშვებიან მისი მესვეურები უნგრეთის მიმართ, რომელთანაც, თუ მართალია ინგლისური გაზეთის კორესპონდენტი, მათ დაუდვიათ საიდუმლო ხელშეკრულება ერთ და იმავე დროს ჩეხო სლოვაკიისა და რუსეთის წინააღმდეგ—როგორც მკითხველი ხედავს, სხვათა შორის იმ ცნობებიდანაც, რომლებიც ჩვენ მოგვყავს ზევით, პოლონეთი ემზადება რუსეთის წინააღმდეგ ომისთვის. ვარშავის ავანტიურისტები კვლავ ცეცხლის გაჩენას ლამობენ აღმოსავლეთ ევროპაში თითქოს თავის ჰეგემონიის დასამკვიდრებლათ, ფაქტიურათ კი ბოლოს და ბოლოს ანტანტის კაპიტალის სასარგებლოთ. საბჭოთა რუსეთი მზათაა მტრის შესახვედრათ და ამის მხარეზე იქნება ამ შემთხვევაში მუშათა კლასი მთელი ევროპისა და თვით მის წინააღმდეგ ომისათვის მზადებაში ჩართული განაპირა ქვეყნების. გმირული წითელი არმია რუსეთის მოუსპობს ხალისს ვარშავისა და საზოგადოთ მცირე ანტანტის ავანტიურისტებს მშრომელთა წინააღმდეგ გამოსვლისას და რკინის ხელით ჩაფუშავს მათ გეგმებს.

საბჭოთა საქართველოში

ახალციხის მაზრა

პოლიტიკური მდგომარეობა მაზრაში დამაკმაყოფილებელია.

ახალციხის მაზრაში პარტიულ მუშაობას მხოლოდ კომპარტია აწარმოებს. ხშირად იმართება მიტინგები, საუბრები, სადაც ეხებიან თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობას და სხვა.

სურსათის მხრივ ახალციხის მაზრა შედარებით რეპუბლიკის სხვა მაზრებთან კარგ პირობებშია. თუმცა 1921 წლის მოსავალი შედარებით სხვა წლებთან ნაკლები იყო,—მაინც აღემატებოდა ადგილობრივ მოთხოვნილებას. სასურსათო კომისარიატისა და სხვა მრავალ ორგანოების მიერ დამზადებული და გატანილ იქნა საგრძნობი რაოდენობა სურსათისა სასურსათო გადასახადის სახით. ნატურალურ გადასახადის 85 პროც. უკვე აკრეფილია და ახლო მომავალში შეიკრიბება სრულიად.

გასულ წელში გაწერილი სანიტარული გადასახადი მოკლე ვადის განმავლობაში სრულიად იქნა აკრეფილი. რევკომების დროს საჭირო თანხა მოდიოდა ცენტრიდან. საბჭოების დაარსების შემდეგ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საფინანსო კომისია არკვევს ადგილობრივ გადასახადების რაოდენობას და ამ მოკლე ხანში კომიტეტი თავისი თანხებით იარსებებს.

პირველი ნაწილი საადგილ-მამულო რეფორმისა დამთავრებულია და ფონდში მიღებული 66396 დესეტინა მიწა. ახალციხის მაზრა მდიდარია ტყეებით და ამ ჟამად სწარმოებს სხვა და სხვა ადგილას ხე-ტყის მასალის დამზადება.

ეკონომიური განყოფილება, რომელიც არსებობს კომიტეტთან განაგებს ხე-ტყის სახერხ ქარხანას, საფეიქრო სახელოსნოს, სტამბას, ნავთის საწყობებს და სხვა.

მაზრაში არსებობს ორი საერთო და ერთი შრომის სკოლა—ქალაქში და სოფლებში ცამეტი. სკოლების რიცხვი ვერ აკმაყოფილებს მაზრის მოთხოვნილებას და საჭიროა სკოლების ქსელის გაფართოება. ამ მიზნით უკვე შეუდგნენ სკოლების ასაგებად ფულის შეკროვებას. აღსანიშნავია. აგრეთვე მასწავლებელთა მოუმზადებლობა.

ქალაქში არსებობს ერთი საავადმყოფო. მაზრაში ერთი საექიმო პუნქტია და სამი საფერშლო. ეს პუნქტები ვერ აკმაყოფილებენ მაზრის მოთხოვნილებას. მაზრაში აღრიცხულ იქნა ყველა დავრდომილნი, მოხუცებული პენსიონერები, დაჭრილ-დასახიჩრებულნი და წითელ არმიელთა ოჯახები, რომელთაც პირველად ეძლეოდათ დახმარება, მხოლოდ შემდეგ უსახსრობის გამო შეწყდა.

გორის მაზრა.

მაზრაში შიმშილობა უკვე დაიწყო. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ახალქალაქის, გომის, ცხინვალის, ტყვიავის და ქვემო ჭალის რაიონებში.

დაიწყო დარიგება სათესლისა, მაგრამ საკმაო სათესლე არ არის. სათეს კომპანიას მეტად შეუშალა ხელი იმ გარემოებამ, რომ მოსული სათესლე გამოყიდული ვერ იქნა რკინის გზისაგან, ვინაიდან გადმოტანისთვის თხოულობდა დიდ-ძალ ფულს. სასურსათო გადასახადის აკრეფა სუსტად ტარდება—აკრებილია მხოლოდ 15—30 პროც.-მდე.

შორაპნის მაზრა.

შორაპნის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის ინიციატივით ამ დღეებში მოთავდება სარწყავი არხის გაყვანა 25 ვერსის სიგრძისა. ეს არხი რწყავს საუკეთო მოსავლიან ადგილებს ყვირილისა და სვირის რაიონებში. თავდება აგრეთვე ხიდის შენება მდინარე ყვირილაზე.

სენაკის მაზრაში.

სენაკის მაზრის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა:

მიეცეს გაფრთხილება მარტვილისა და სალხინოს უბნების მილიციის უფროსებს აღადგინონ წეს-რიგი მილიციაში, დაიწყონ ენერგიულად საქმის წარმოება, ხოლო ბანძის მილიციის უფროსი განთავისუფლებული იქნას თანამდებობიდან და გადაყვანილი სხვაგან უბნის მილიციის უფროსის თანაშემწის ადგილზე.

— უფლება მიეცეს მაზრის მილიციის უფროსს შუამდგომლობა აღძრას ცენტრალურ მთავრობის წინაშე საზოგადოებისთვის მავნე და გაუსწორებელი ქურდების მაზრიდან გადასახლების შესახებ.

— კომიტეტის დადგენილებით სენაკის სამაზრო აღმასკომის განყოფილებებში და საბჭოთა დაწესებულებებში მუშაობის აწერის მიზნით გადასინჯულ იქნა დაწესებულებათა პირადი შემადგენლობა და დათხოვნილ იქნა მთელი რიგი მოსამსახურეთა.

— მიღებულ იქნა მოხსენება სამეურნეო განყოფილების გამგის შესახებ საბჭოთა მეურნეობის მოწყობისა. ამ მიზნით განყოფილებას დაევალა ახალ სენაკის ფარგლებში გამოყოს დასამუშავებლად 15 ქცევა მიწა სამაზრო აღმასკომისთვის და 10—სამაზრო ციხისათვის, რაც დამუშავებულ უნდა იქნას.

— დადგენილ იქმნა, რათა ეთხოვოს შინაგან საქმეთა კომისარიატს უფლება მიეცეს სენაკის სამაზრო აღმასრ. კომიტეტს მოახდინოს რეკვიზიცია საზღვარ გარედ გაქცეულ კაპიტალისტ ხოშტარიას სახლისა საზოგადო დაწესებულებათა მოსათავსებლად.

ქრონიკა

◆ **სახელმწიფო აპარატის რეორგანიზაციის შესახებ.** საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა მოისმინა პროექტი სახელმწიფო აპარატის რეორგანიზაციის შესახებ დაკავშირებული შტატების შემცირების საჭიროებასთან. პროექტი მიღებული იქნა მცირე შესწორებით. მის სისრულეში მოსაყვანათ არჩეულ იქნა კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ამხ. ო. კალანდაძე, წევრები: ამხ. ერქომაიშვილი, ჯუღელი, მიქაძე და თუმანოვი. კომისიამ 15 აპრილამდე უნდა დაამთავროს თავის მუშაობა.

◆ **სხვა და სხვა დეკრეტები.** ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებულია შემდეგი დეკრეტების პროექტი: მიწათმოქმედების კომისარიატთან სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განყოფილების მოწყობის და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ; პროექტი დადგენილებისა სამელიორაციო საქმის მიწათმოქმედების კომისარიატთა გაერთიანების შესახებ.

◆ **განათლების კომისრის შესახებ.** თანახმად ამხ. მ. ორახელაშვილის განცხადებისა ავადმყოფობის გამო მისი განთავისუფლების შესახებ საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის მიერ განათლების სახალხო კომისრად დამტკიცებულ იქმნა მის მაგივრათ დავით ვლადიმერის ძე კანდელაკი.

◆ **შვავისაგან დაზარალებულთა შესახებ.** რაჭის მაზრის სოფ. ღვანარის 40 ოჯახის დასახმარებლად რომელნიც დაზარალდნენ შვავისაგან ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტმა გადასდო ხუთასი მილიონი (500,000,000 მ.).

◆ **სამხრეთ ოსეთის შესახებ.** ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დაარსების დეკრეტის პროექტის პრინციპიალური ნაწილი.

◆ **თბილისის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებების აღმწერლების კრება.** კვირას 2 აპრილს შუადღის 12 საათზე და ორშაბათს 3 აპრილს საღამოს 6 საათზე ქალ. აღმასრულებელ კომიტეტის შენობაში (ყოფილი ქალ: საბჭოს ბარბაზი) დანიშნულია საერთო კრება ყველა იმ პირთა, რომელნიც ჩარიცხულნი არიან თბილისის სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებების (სადარაბო) აღმწერლებათ აღწერის ინსტრუქციებთან გასაცნობად.

შეცდომის გასწორება

გუშინწინდელ მეთაურ წერილში კორექტურული შეცდომა შეგვეპარა, მეორე სვეტში აბზაცის წინ სწერია: „ყველა პარტიულ ორგანიზაციების ხელი-ხელ ჩაკიდებული მოქმედებით" და სხვა; უნდა იყოს: „ყველა პარტიულ ორგანიზაციების და საბჭოთა ორგანოების" და სხ.

თეატრი და ხელოვნება

ჟურნალი „ქურა" გამოვიდა და იყიდება საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სამხატვრო სალიტერატურო თვიური ჟურნალი „ქურა". ჟურნალში მონაწილეობენ პროლეტარული პოეტები და მწერლები. შინაარსი: ჩვენი სიტყვა, რედაქცია; ლექსები: სამჭედლოში, სანდრო ეულის; ჩემს ქურას, ნ. ზომლეთელის; ჩვენი აღსარება, ტ. სვანიძის; ცეცხლის ხმები, პეტრე სამსონიძისა; ჩვენი სიმღერა, კალე ფოლდოსიშვილის; ძველი და ახალი, ი. შრომისშვილის; სამჭედლოში, გ. შინატეხელისა; ცეცხლის რკალში, იონა ვაკელის; ქარხნის სურათი, ალ. ჩხეიძის; ქარხნის ხმაური (თარგმანი გუცევიჩიდან) ი. ხინველის; დარაჯი, (თარგმანი აკ. აკოფიანიდან) ისახარის; დედა (თარგმანი) ს. ა.; მინიატურები და მოთხრობები: „თავიც დაიღუპა", იაკინთე ლისაშვილისა; ნამგალი და ჩაქუჩი (პეტროსიანიდან ნათარგმნი) ისახარის; მემანქანე (თარგმანი) კურსელისა; გაზაფხულის სიმღერა (თარგმანი პლეტნევიდან) ს. ა.; კრიტიკული წერილები: პროლეტარული ხელოვნება, ბოგდანოვი; ქართული მწერლობა და „ქურა", რაჟდენ კალაძისა; პროლეტარული პოეზია, პ. ქუთათელაძისა; „ჩვენ ვქნით ჩვენს ქვეყანას—ახალ ქვეყანას" რ. კ.; სანდრო ეულის პოეზია, სეფისპირელისა; ბიბლიოგრაფია—პროლესტის; ქრონიკა და მჭედლის სიმღერა—ნოტით, ყდა—ი. თოიძისა. ჟურნალი ლამაზათ გამოცემულია და ღირს 20,000 მანეთი.

—

საქართველოს სამხატვრო აკადემია

სამხატვრო აკადემიას საფუძვლო სემესტრი დაიწყება ა. ს. მაისის 15-დან, გაგრძელდება ოქტომბრის პირველამდე.

საქართველოს სამხატვრო აკადემია შესდგება 4 ფაკულტეტისაგან:

1) ქანდაკების ფაკულტეტი.
2) ხუროთმოძღვრებისა,
3) ხატვრობის,
4) ხაზვის.

აკადემიის მოსწავლენი შესდგებიან სტუდენტებისა და თავისუფალ მსმენელებისაგან. აკადემიის სტუდენტებათ ჩაირიცხებიან მხოლოდ საშუალო სასწავლებელში კურსდამთავრებულნი.

ყოფილ სახ. სამხატვრო სახელოსნოს მსმენელები ჩაირიცხებიან სტუდენტებათ, თუ წარმოადგენენ საშუალო სასწავლებლის დამთავრების შესახებ მოწმობას და სწავლის ფულს განცხადებასთან ერთად, რომელშიაც აღნიშნული უნდა იყოს, თუ რომელ ფაკულტეტზე სურს მეცადინეობის გაგრძელება.

ყოფილ სახ სამხატვრო სახელოსნოს მსმენელები, რომელთაც არ დაუმთავრებიათ საშუალო სასწავლებელი გამოცდების ჩაუბარებლათ ჩაირიცხებიან აკადემიის თავისუფალ მსმენელათ.

სწავლის ფასი ყველასათვის საზაფხულო სემესტრის 1-ლ მაისიდან 1-ლ ოქტომბრამდე—300,000 მ.

ყოფილ სამხატვრო სახელოსნოს მსმენელებმა, რომელთაც სურთ ჩაირიცხონ სამხატვრო აკადემიის სტუდენტებათ თუ თავისუფალ მსმენელებათ, უნდა შემოიტანონ ამის შესახებ განცხადება არა უგვიანეს ა. წ. აპრილის 7 სა: ვინც ამ დრომდე განცხადებას არ შემოიტანს არ იქნება ჩარიცხული.

სწავლის ფული შემოტანილ უნდა იქნეს არა უგვიანეს ა. წ. მაისის—10 სა. ვინც ამ დრომდე ფულს არ შემოიტანს, არ იქნება ჩარიცხული.

სამხატვრო აკადემიაში ახლად შემსვლელთათვის დანიშნულია გამოცდები საერთო ხატვაში მაისის 15-ს; თხოვნები კი შემოტანილ უნდა იქნეს სამხატვრო აკადემიის კანცელარიაში 1 დან 6 მაისამდე.

თხოვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას: საშუალო სასწავლებლის გათავებისა, მეტრიკული და სამხედრო ბეგრის მოწმობა.

ვინც გამოცდილების შემდეგ მიიღება, მან უნდა შემოიტანოს სწავლის ფული 25—30 მაისამდე, ვინც აღნიშნულ ვადაზე სწავლის ფულს არ შემოიტანს, ის არ იქნება მიღებული.

— **შულგინას წარმოდგენა.** დღეს, სახელმწიფო ოპერის თეატრში დამსახურებულ მსახიობ ქალის შულგინას ოცი წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად წარმოდგენილი იქნება: „მადამ ბატერფლეი", მუსიკა პუჩინის. მონაწილეობენ: ქ-ნი შულგინა, დუდენკო, ვასლავსკაია, ზალიპსკი, დროზდო პალიაევი, დემიანენკო, კურბატოვი და თუმანიშვილი, სტოლერმანის დირიჟორობით. საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობენ: ვოლხოვსკაია, სტაროსტინა, ეკსანოვა, ნოვახტნაია, ვასო აბაშიძე, მორდკინი, ინაშვილი, კავსაძე, თარხნიშვილი, ელიოზიშვილი და ერანოვი.

— **წარმოდგენა საქართველოს დამშეულთა სასარგებლოთ რუსთაველის თეატრში.** ცალკე სანაპირო ბრიგადის ინიციატივით, საქართველოს დამშეულთა სასარგებლოთ დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება ცაგარელის „ხანუმა". წარმოდგენაში მონაწილეობენ: ა. ლოლუა, ბეჟანიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჩერქეზიშვილი, ვ. გამყრელიძე, ნ. გოცირიძე, სარაული, დ. ჩხეიძე და სხვ.

— **საღამო დამშეულ ბავშვთა სასარგებლოდ.** თბილისის დამშეულ ბავშვთათვის დამხმარე კომისია, რომელიც გამოყოფილია სამაზრო აღმასკომიდან მაზრის კომპარტიის კომიტეტიდან, 5 აპრილს სახალხო სახლში ფართე შინაარსით მართავს საღამოს წარმოდგენილი იქნება: „ქრისტინე", „ჩანჩურა" და სხვა. ვსთხოვთ ყველას დაესწრონ, რაც შეამსუბუქებს დამშეულ ბავშვთა მდგომარეობას.

თესვის კამპანია

გორის მაზრა

გორის მაზრის თესვის კამპანიის აპარატი საკმაოდ დალაგებულია, და გეგმით აწარმოებს მას, მიუხედავად იმისა, რომ დაბრკოლება ხვდება მუშაობაში გადასაზიდ საშუალებების უქონლობის და მოუწყობლობის, რკინის გზებზე დაკავების, შეჩერების და სხვა წინააღმდეგობის გამო. გორის მაზრა დაყოფილია 17 რაიონად, ამასთან რაიონების ნაწილი მდებარეობს რკინის გზის ხაზზე, და მეორე ნაწილი მაზრის შუაგულში. სათესი მასალის დარიგება ხდებოდა ორი გზით. სათესი მასალით მომარაგება მაზრის შუა რაიონებისა, რომელნიც რკინის გზებზე დაშორებული არიან, ჩატარდა უმტკივნეულოთ და რაიონები სასწრაფო წესებით დააკმაყოფილეს თესლით. სულ სხვა სურათი მივიღეთ რკინის გზის გაზზე მდებარე რაიონებში. რკინის გზამ ფულის ნიშნების და საშუალებების სიმცირის და უქონლობის გამო უარი სთქვა აგენტებზე სათესი მასალის მიცემაში და თავის დროზე გამოსყიდვა სათესი მასალის დაგვიანდა. დეპეშა კი, დაგზავნილი სადგურებზე მიღებულ იქნა დაგვიანებით და სადგურების ყველა უფროსმა ვერ გაიგეს მისი შინაარსი სწორად. მაგრამ მაინც სადგურების ზოგიერთ უფროსებმა, მიიღეს რა მხედველობაში მომენტის სერიოზული მნიშვნელობა რესპუბლიკისათვის მიმდინარე გაზაფხულის კამპანიისა, მოახდინეს განკარგულება სათესი მასალის დაუყონებლივ მიცემაზე.

ზოგიერთ სადგურებზე კი ტვირთი დაკავებულ იქნა. ამის გამო ქერის დათესვა რაიონებში დაგვიანდა რამოდენიმედ, და თესვა რკინის გზის ხაზზე მდებარე რაიონებში შეჩერდა. შეჩერებას შეეძლო სულ შეეწყვიტა ქერის დათესვა ამ რაიონებში, მაგრამ თესვის კამპანიამ მიიღო თავის დროზე ზომები და 3 დღის განმავლობაში საკითხი გადაიჭრა, ტვირთი განთავისუფლდა დაკავებისაგან და დააგზავნეს რაიონებში. მაზრის ყველა რაიონებში თესვის კამპანიამ დააგზავნა წარმომადგენლები და აგენტები, რომლებმაც ადგილებზე მოაწყვეს სპეციალური კომისიები, სადაც შედიან ადგილობრივ აღმასკომების, კომპარტიის წარმომადგენლები და უღარიბეს გლეხების რწმუნებულნი. ამრიგად მუშაობაში ჩაბმულია გარდა თესვის კომიტეტებისა კომპარტიის და აგრეთვე გლეხობის წარმომადგენლები. მიმდინარე თესვის კამპანიასთან დამოკიდებულება გლეხების ძლიერ სერიოზულია. ისინი იყვნენ დაიმედებული შემოდგომაზე სათესი მასალის მიღებაში გაზაფხულის თესვისთვის და დახნეს ყველა მიწები, რომელიც კი მათ განკარგულებაში იყო. გლეხები ელიან სათესი მასალის ახალი პარტიის მიღებას. საგარეო ვაჭრობის გაერთიანებულ კომისარიატის მიერ სათესი მასალის ახალ პარტიის მიღებაზე ცნობები მისწვდა გლეხობას, რამაც გამოიწვია მცხოვრებლების დაცემულ განწყობილების აღდგენა. ხელსაყრელ პირობებში არ დარჩება დაუთესელი მიწის არც ერთი ნაჭერი და მინდვრები უეჭველად დაითესება. დრო დაბალ ადგილებზე ხორბლის დათესვის უკვე თავდება. ქერის თესვა გრძელდება 25 მარტამდე ძველი სტილით და დათავდება აპრილის პირველი რიცხვებისათვის. მდგომარეობას აქვს გამოსავალი; საჭიროა მხოლოდ გადამწყვეტი ზომები. სიმინდის თესვა სწარმოებს აპრილის ბოლომდი. ანეული მაზრაში დიდებულია მოსავალს კარგი პირი უჩანს, დარები ჯერ-ჯერობით ხელს უწყობს.

სენაკის მაზრა

სენაკის მაზრა დაყოფილია ოთხ რაიონად: აბაშის, ბანძის, სალხინოს და ძველი სენაკის. სენაკის თესვის კომიტეტმა სათესი მასალა დაყო შემდეგი რიცხობრივი წესით: აბაშის, რაიონში, როგორც ყველაზე უფრო დაზარალებულს მოუსავლობისაგან რომელიც შედეგია სტიქიური უბედურების, რაც ეწვია შარშან მის მინდვრებს, გაგზავნილია 1760 ფუთი სათესი სიმინდი. დამატებით იმავე რაიონს მიეცა თესვის კომიტეტის მიერ 2000 ფუთი სათესი სიმინდი. ბანძის რაიონს მიეცა 1000 ფუთამდე სათესი სიმინდი სალხინოს რაიონს 800 ფუთი, ძველი სენაკის რაიონს—1000 ფუთი. გაცემული და დანაწილებული სიმინდი მიღებულია ავსტრალიის ხორბალზე გაცვლით. სენაკის მაზრის დაბალ ადგილებზე მცხოვრებლები უმთავრესად მინდვრებს აშენებენ, თესენ სიმინდს,—მთიან ადგილებზე სიმინდის თესვის გარდა, მოსახლეობა მისდევს მესაქონლეობას, ძლიერ განვითარებულია ვენახის მოშენება.

მცხოვრებლები—მხოლოდ მეგრელებია, გლეხობა. სათესი მასალის გადაზიდვა რაიონებში ხდებოდა სადგურ ახალ სენაკიდან, სადაც იმყოფება თესვის კომიტეტი, რომელიც აწარმოებს თესვის მუშაობას მთელ მაზრაში. მიწების დახვნა მაზრაში დაიწყო თებერვლიდან, და დღემდე დახნულია სათესი მინდვრების 60 პროც. ახლო მომავალში დაიხნება ყველა—100 პროცენტი. მიმდინარე თესვის კამპანიასთან გლეხების დამოკიდებულება ფრიად სერიოზულია. გლეხებს მშვენივრად ესმის მომენტის სირთულე და მნიშვნელობა, საჭიროა მხოლოდ რეალური და პრაქტიკული დახმარება. მაზრაში აგრონომიულმა ქვე-განყოფილებამ გაატარა სპეციალური კამპანია შემოდგომაზე მიწების დახვნის და ადრე დათესვისათვის. რაიონულ თემებში გამართეს საუბრები სოფლის მეურნეობის საკითხებზე, რომელშიაც მისაწვდომად განმარტეს უმთავრესად მეთოდები და საშუალებები სტიქიურის უბედურებასთან ბრძოლისა. (გვალვასთან და სხვ.) გლეხები სიამოვნებით ესწრებოდენ კრებებს და საუბრებს, ყურადღებით ისმენდენ ახსნა განმარტებას. საჭიროა უფრო ფართეთ დაყენება აგრონომიული პროპაგანდის მაზრაში. მაზრაში ძლიერ ნაკლებია სოფლის მეურნეობისთვის საჭირო იარაღები. ძველები გაფუჭდა. უმთავრესი მოთხოვნილება აქვს სახნისებს და გუთნებს. მინდვრების დახვნა უბრალო გუთნებით და დათოხნა პრიმიტიული საშუალებით მეტად საძნელოა და გამაწვალებელი და მოითხოვს არა ადამიანურ დიდ ძალას გლეხობისაგან. ზემოთ ჩამოთვლილ არა ნორმალურ პირობების თავიდან ასაცილებლად მიღებული იყო თავის დროზე საჭირო ზომები. ეხლა მაზრის აგრონომმა სას. მეურ. უმ. საბჭოსაგან მიიღო სესხად 50. სახნისი № 0 და 20 გუთანი კულტივატორი.

მევენახეობისათვის, როგორც იტყობინება მაზრის აგრონომი, საჭიროა 500 ფუთი შაბიამანი და იმდენივე გოგირდი. სათესი მუშაობა დაიწყო და გაგრძელდება აპრილის დამლევამდი. მაზრის სათესი მასალით მომარაგებით, რა თქმა უნდა, მთელი მინდვრები, რომელიც დახნულია გლეხების მიერ დიდი სიძნელით, თითქმის ხელით, უეჭველად დაითესება. ანეული კარგია. მაგრამ მინდვრები ცოტაა, რადგანაც, თესლის და სათესი მასალის უქონლობის გამო, თესვის ასპარეზი შემცირდა. არის იმედი კარგი მოსავლის ამ მცირე ადგილებზე, რა თქმა უნდა თუ დარი ხელს შეუწყობს.

მცირე შენიშვნა

ხეხილს ანადგურებენ

ვისაც კი გაუვლია თავისუფლების მოედანზე სასახლის, რუსთაველის თუ სხვა თვალსაჩინო ქუჩებზე და დაკვირებია მათ, ის შენიშნავდა, რომ, ყვავილების გამყიდველ მაღაზიაში და ისე ხელზე გამყიდველ დიდსა და პატარა ბიჭებს, აქვთ გასაყიდათ ახლათ აყვავებული, ნუშის, ჭერამის, და სხვა და სხვა ხეხილის დამტვრეული და აყვავებული ტოტები, გამვლელ გამომვლელებს თვალებში აჩრიან. მოსეირნეთაგანიც სიამოვნებით იტანებიან, ყიდულობენ და თავ მომწონეთ დასეირნობენ, იმას კი აღარ კითხულობენ, თუ ხილის ხიდან ჩამოტეხილ ალაგიდან გადმოგორებული წვეთები ილვრება და უადგილოდ გილიდან მოტეხილი ტოტების გამო დანარჩენი ხეხილიც ხმება და ნადგურდება. იმ დროს, როდესაც ყოველი ბაღ ბოსტნეულები, ჩვენთვის უძვირფასესია და სასარგებლო და როდესაც ახალმოსავლის მრავალ ფუთიან ხილით ხალხმა უნდა ისარგებლოს, აი ამ დროს კი ხეხილს სპობენ და ანადგურებენ წლის მოსავალს და ეს არამც თუ ქალაქში, მის ბახჩა ბაღებში, არამედ ქალაქის გარეთაც ბაღები ასეთ მდგომარეობაში იმყოფებიან.

ან ასეთი მაგალითი. 16 მარტს, შემთხვევა მქონდა ჩემი თვალით მენახა შემდეგი სურათი: თბილისის კომიტეტის პასუხისმგებელ ამხანაგებს, დავალებული ჰქონდათ გამოერკვიათ დიდუბის ბოლოს მდებარე მტკვრის ესტატე მუხრანსკის ყოფილი მამულის ხილიან ბაღის და სახნავ მიწის მდგომარეობა, რომელსაც დაპატრონებიან 4—5 შეძლებული გლეხები და გაუნაწილებიათ ერთმანეთ შორის 10 დესეტინამდის ხილის ბაღი და სახნავი მიწები, სადაც მრავალი ხილის ხეებია გაჩეხილი. გლეხები გვეფიცებოდნენ ვიღაც მეხრანსკის ქვრივისაგან იჯარით მამული და ამის საბუთის ქაღალდებიც აქვთ, დიდუბის აღმასკომის თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული, ხელ მოწერილიც. თითქმის თვით თბილისის კომიტეტის წევრების მიერაც დადასტურებულიო. როცა შევეკითხენ გლეხებს: რომელ კომიტეტზედაც თქვენ გვითითებთ, იქ ჩვენგანი არავინ გინახავთო?

აბა რაღაცით ბევრნი იყვნენ და რომელ ერთს დავეხმარებოდითო.

მაშ თუ ასეა მოდით ჩვენთან კომიტეტში თქვენი „დამტკიცებული ქაღალდებიც" მოიტანეთ და ჩვენ განვიხილავთ საქმის ვითარებას. თუ თქვენ მართლები იქნებით, ხმას აღარავინ გაგცემთ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი თქვენ ჩამოგერთმევათ მამული და გადაეცემათ იმათ, ვინც თქვენ სოფელში უმიწაწყლო ღარიბი გლეხები არიან—უთხრეს ბოლოს გლეხებს საქმის გამოსარკვევათ და ახსნა განმარტებ[ი]ს მისაღებათ მათგან. გლეხები: ჩვენც ღარიბნი ვართ და არა გვაქვს საყოფი მიწა და ეს იმიტომ ავიღეთ იჯარით, მათ მიუთითეს იქ მომუშავე სხვა გლეხებზე: ესენი ვინღა არიან?: ჩვენგან დაქირავებულნიო, იყო პასუხი, რათა გყავთ დაქირავებული და რატომ მათაც წილს არ უდებთ მამულშიო, ჩვენ ამათ დღიურ ჯამაგირს ვაძლევთ და პურსაც ვაჭმევთ, აბა წილი რაღაში უნდა დაუდოთ. აი ასეთია ამ დიდი მამულის მდგომარეობა და საჭიროა დროზე მიექცეს ყურადღება, ვინაიდგან ჯერ არის, რომ მოწესრიგდეს მისი საქმე სასურველათ და რომ ასცილდეს ამ ბაღებს სრულიად განადგურება.

მ. მოხუცი.

პარტიული ცხოვრება

ცირკულიარულად № 155.

ძვირფასო ამხანაგებო!

ამას წინად დასრულებულმა საქართველოს და ამიერ კავკასიის პარტიულმა ყრილობებმა აღნიშნეს აუცილებლობა საქალაქო და სამხედრო ორგანიზაციების დაახლოვებისა, აგრეთვე მჭიდრო კავშირის საჭიროება პარტიულ წითელ არმიელთა და მუშათა შორის. თბილისის ორგანიზაცია წინანდელ მუშაობაში უკვე რამოდენიმედ პრაქტიკულად შეუდგა სამხედრო პარტიულ მასებთან კავშირის საკითხის გადაჭრას. საჭიროა ამ კავშირის ორგანიზაციულად ჩამოყალიბება და მიზნად დასახვა არა მარტო სამხედრო და სამოქალაქო პარტიულ ორგანიზაციების ზედა წრეების, არამედ წითელ არმიელთა და მუშების ფართე მასსების შეკავშირებისა. ითვალისწინებს რა წინანდელ მუშაობის გამოცდილებას, საქართველოს კ პ თბ. კომიტეტი წინადადებას იძლევა მიღებულ იქნას სახელმძღვანელოდ შემდეგი დებულება:

1) კავკასიის ცალკე ლაშქრის („ოკა") ზურგის ნაწილების პოლიტსამდივნოს მჭიდრო კავშირის დასამყარებლად თბილისის კომიტეტთან, პოლიტსამდივნოს უფროსი ან მისი მოადგილე შედიან თბილისის კომიტეტში გადამწყვეტი ხმით.

2) პოლიტსამდივნოს პასუხისმგებელი რაიონულ ინსტრუქტორ-ორგანიზატორები შედიან პარტიის სათანადო რაიონულ კომიტეტებში.

3) ამ ინსტრუქტორებს ევალებათ იყვნენ წარმომადგენლებად რაიკომში ყველა სამხედრო ნაწილებისა და ორგანიზაციებიდან, რომელნიც იმყოფებიან აღნიშნულ რაიონში, საქართველოს წითელ ლაშქრის ნაწილების ჩათვლით.

4) წარმოებების, დაწესებულებების იაჩეიკათა მჭიდრო კავშირის დასამყარებლად სამხედრო ნაწილების და დაწესებულებათა იაჩეიკებთან, რაიკომები ახორციელებენ სამხედრო ნაწილების და დაწესებულებათა იაჩეიკებთან კავშირის შემდეგ სქემას:

ა) ტარდება პასუხისმგებელ მუშაკების ურთიერთი მიჩენა მსხვილ იაჩეიკებზე, ე. ი. მსხვილ წარმოებებს მიეჩინება პასუხისმგებელი სამხედრო პარტიული მუშაკი და პირიქით, წითელ არმიის მსხვილ ნაწილებს მიეჩინება რაიკომის პასუხისმგებელი მუშაკი.

ბ) ტარდება წარმოებათა იაჩეიკების მიმაგრება სამხედრო ნაწილების და დაწესებულებათა იაჩეიკებზე.

გ) მიმაგრებული იაჩეიკები, ე. ი. სამხედრო სამოქალაქოსთან ესწრებიან კრებებს, როგორც პარტიულს, ისე საერთოსაც.

5) თბილისის კომიტეტი აწესებს ერთიან პარტიულ დღეს საერთო რაიონულ პარტიულ კრებებისათვის სამხედრო კომუნისტებთან ერთად თითოეულ თვის 10 რიცხვში.

6) ერთხელ თვეში რაიონებში ხდება გაერთიანებული სადელეგატო კრებები სამხედრო ნაწილების დელეგატებთან ერთად, წარმომადგენლობის ნორმა ერთი მეათედი.

7) პასუხისმგებელი სამხედრო მუშაკნი ესწრებიან რაიონის პასუხისმგებელ პარტიულ მუშაკთა კრებებს.

8) თბ. კომიტეტის მიერ მოწვეულ ყველა კრებებს სამხედრო დელეგატები ესწრებიან საერთო ნორმის მიხედვით, მაგრამ სათათბირო ხმით.

9) გადამწყვეტთა ნორმას აწესებს თბ. კომიტეტი პოლიტსამდივნოსთან ერთად.

10) ყველა კამპანიებში, რომლებსაც აწყობს პოლიტსამდივნო საერთო პოლიტიკურ თემების შესახებ, თბ. კომიტეტი იღებს აქტიურ მონაწილეობას და პირიქით, პოლიტსამდივნო თბილისის კომიტეტის მიერ მოწყობილ კამპანიებში.

11) სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის შესათანხმებლად პოლიტსამდივნოს წარმომადგენელი შედის თბ. კ. სააგიტაციო განყოფილებაში.

12) თბ. კომიტეტის ყველა განყოფილებანი მჭიდრო კავშირში იმყოფებიან პოლიტსამდივნოს სათანადო ნაწილებთან.

ყველა რაიკომებს ევალებათ ამ ცირკულიარის დაუყონებლივ პრაქტიკული გატარება და ყოველთვიურ ანგარიშებში ვრცლად გააშუქონ შესრულებული მუშაობა სამხედრო პარტიულ ორგანიზაციებსა და სამხედრო პარტიულ მასსასთან კავშირის დამყარების სფეროში.

კომუნისტური სალამით თბ. კ.
მდივანი **ლოლობერიძე.**
ორგანყოფილების გამგე
რუბენი.

—

ცირკულიარულად № 156.

ჩვენი ეკონომიურ აღმშენებლობის ახალ პერიოდთან დაკავშირებით საჭიროა დავამყაროთ შრომის სწორი განაწილება პარტიულ და საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებს შორის. საჭიროა პარტიის ყველა წევრმა და პარტიულ ორგანიზაციებმა გაითვალისწინონ პარტიულ და საბჭოთა ორგანოების უფლება მოვალეობათა გამიჯვნა. არა ერთხელ ყოფილა შემჩნეული, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები, მეტ წილად კომიაჩეიკები, უშუალოდ ერევიან ადმინისტრატიულ და სამეურნეო ორგანოების მუშაობაში. „პარტია ხელმძღვანელობს საბჭოთა ორგანოებს, მაგრამ მათ მაგიერობას არ ეწევა". ეს დებულება წამოყენებული რ. კ. პ. ჯერ კიდევ მე-8 ყრილობის მიერ, რჩება ძალაში მიმდინარე მომენტშიაც. ჩვენს წინაშე წამოჭრილია უშველებელი, მძიმე ამოცანა ჩვენი მეურნეობის აღორძინებისა, ხოლო ამ ამოცანის შესრულება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარტიულ და სამეურნეო ორგანოებს შორის ნორმალური და ჯანსაღი ურთიერთობა იქნება დამყარებული.

საქართველოს კ. პ. თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ვრცლად და ნათლად გააშუქონ ყველა კომიაჩეიკებში, სადელეგატო და სხვა კრებებზე კომიაჩეიკების ამოცანების და როლის საკითხები სამეურნეო აღმშენებლობის სფეროში, გარკვევით განსაზღვრონ პარტიულ და სამეურნეო ორგანოების ფუნქციები, ამასთან იხელმძღვანელონ შემდეგით:

1) პარტიული ორგანიზაციები არავითარ შემთხვევაში არ უნდა ერეოდენ სამეურნეო ორგანოების ყოველდღიურ მიმდინარე მუშაობაში და ვალდებულნი არიან ადმინისტრატიულ განკარგულებებისაგან საბჭოთა მუშაობის სფეროში საერთოდ.

2) პარტიულ ორგანიზაციებმა მიმართულება უნდა მისცენ სამეურნეო ორგანოების მოღვაწეობას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ გასწიონ მათი მაგიერობა ან არ დაჩრდილონ ისინი.

3) მაგრამ მაინც ყველა იაჩეიკებს ამა თუ იმ წარმოებასთან უთუოდ უნდა აინტერესებდეთ წარმოების საქმეთა ვითარება და გაცნობილი იყვნენ მას.

4) პარტიული ორგანოები, განსაკუთრებით კომიაჩეიკები, წარმოადგენენ რა მებრძოლ სამეურნეო ორგანოებს ადგილობრივად, უნდა აწარმოებდნენ ფართე აგიტაციას უპარტიო მუშათა შორის და შეუფარდონ ეს მუშაობა უმთავრესად ამა თუ იმ დროის და თითეულ ცალკე წარმოების სამეურნეო ამოცანებს.

5) აგიტაცია უნდა იყოს არა მარტო სიტყვიერი, არამედ საქმითაც, პრაქტიკული მუშაობით დაზგასთან კომიაჩეიკა პირადი მაგალითით უნდა უჩვენებდეს სახალხო მეურნეობისადმი მზრუნველობითი და გულმოდგინე დამოკიდებულების მაგალითს. მან უკიდურესობამდე უნდა შეამციროს თავის წევრების სხვაგან მივლინების რაოდენობა და ცდილობდეს, რომ პარტიის ყველა წევრები იყვნენ წარმოებითი მუშაობაზე.

6) კომიაჩეიკა უნდა ეხმარებოდეს ფაბრიკა ქარხნის ადმინისტრაციას, როცა ის ნამდვილად იცავს სახალხო მეურნეობის ინტერესებს. რაიკომები და კომიაჩეიკები სასტიკად უნდა ებრძოდნენ ცრუ აზრებს (პრედრაზსუდკებს), რომელნიც ხელს უშლიან სამეურნეო ცხოვრების წესიერ განვითარებას. კერძოდ სისწორით უნდა მოეკვარდეს სპეცების საკითხი, რომელსაც ჩვენში ჯერ კიდევ მტკივნეული ხასიათი აქვს.

7) ამასთან იაჩეიკები და რაიკომები არ უნდა უშვებდნენ შემთხვევებს, როცა ხელოსნები და სხვები, კომიაჩეიკაზე ამოფარებულნი, მიმართავენ მუშების და მუშა ქალების მიმართ ძველი, რევოლიუციის წინა-დროის საშუალებებს.

საერთოდ კომიაჩეიკებმა ფაბრიკა-ქარხნებში უნდა შესძლონ შეათანხმონ წარმოებითი ინტერესების დაცვა ერთი მხრივ, და მუშების ყოველდღიური ინტერესების დაცვა მეორე მხრივ.

8) ყველაფერ ამის ასრულებას შესძლებენ ორგანოები, თუ თავის მუშაობაში მჭიდროდ დაუკავშირდებიან უპარტიო მუშათა მასსას.

ცირკულიარი უნდა იქმნას წაკითხული და დაწვრილებით გარჩეული ყველა კომიაჩეიკებში.

თბ. კ. მდივანი **ლოლობერიძე**
ორგანყოფილების გამგე **რუბენი.**

პროვინციაში

სამტრედია

ბრძოლა სიმშილობასთან

იმ სტიქიურმა მოვლენამ, რომელმაც საქართველოს ტერიტორიაზე სამწუხაროთ უკვე მოიკიდა ფეხი, სიმშილობამ, აიხაჯრა სამტრედიაც. პარტიულმა ორგანიზაციამ თავიდგანვე მიაქცია ამას ყურადღება და დაარსდა დამხმარე (შემკრები) კომისიები: ოთხშაბათს, 22 მარტს, პარტიულ კლუბში მოხდა კრება სამკომუჯრედისა, რომელსაც ბევრი ამხანაგები დაესწრენ. კრებაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა პასუხისმგებელ მდივნის ამხანაგმა ილარიონ სტურუამ. განიხილეს სხვა და სხვა ზომები სიმშილობასთან საბრძოლველათ და დაადგინეს, ფართოთ მიიღონ ამ კამპანიაში მონაწილეობა ყველა პარტიულმა ამხანაგებმა და აგრეთვე დააინტერესონ ფართე მასაც, რათა მათაც აქტიურათ დაეხმარონ დამშეულებს. ხუთშაბათს 23 მარტს, მოხდა სამტრედიის ვაჭრთა და მოხელეთა ფართო კრება, რომელსაც თითქმის ყველა ვაჭრები და მოხელენი დაესწრენ. თავმჯდომარედ აირჩიეს ვარლამ ქაია. სიმშილობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ილ. სტურუამ. მან განუმარტა კრებას ის უბედურება, რომელიც დაატყდა თავს ჩვენს ქვეყანას, მოუწოდა ყველას ენერგიული მონაწილეობა მიიღონ მის წინააღმდეგ ბრძოლაში და უხვათ გაიღონ თავიანთი წვლილი დამშეულთა სასარგებლოთ. მან გააცნო აგრეთვე კრებას, რომ შემოწირულებების შეგროვება სამ დღეს იწარმოებს: პარასკევს, შაბათს და კვირას, ამ დღეებში ყველა კლუბებში გაიმართება წარმოდგენები, კონცერტები და სხვა. სამტრედია ყოველთვის პირველი იყო ამისთანა უბედურობის დროს დახმარების აღმოჩენაში და ჩვენ ეხლაც დარწმუნებული ვართ, ყველა პატიოსანი მოქალაქე, ვაჭარი, მოხელენი ღირსეულათ შეასრულებენ თავიანთ მოვალეობასო. აირჩიეს 6 ვაჭარი და მოხელე შეწირულებების შემკრებათ, რომლებიც შეუდგენ თავიანთ საქმეს...

პარასკევს, 24 მარტს აგრეთვე ქალაქში წარმოებდა ყულაბებით ფულის შეგროვება, და ბოლოს ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ ასეთი ენერგია გამოჩნდეს ყოველგან ამ უბედურების წინააღმდეგ და საქართველოს ხალხი ერთი გრძნობით შეხვდა ამ მოვლენას, მაშინ ჩვენ ადვილათ დავძლევთ მას და გავიტანთ თავს ახალ მოსავლამდი.

ხან-კანი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 16.

შრომის სახალხო კომისარიატისა და საქ. პროფ. კავ. საბჭოს შრომის ნორმის მოწესრიგების და წარმოების ორგანიზაციის განყოფილებისა

1922 წელს 1 მარტს.

დაჯარიმების მიზეზების შესახებ.

ამა წლის 6 თებერვლის თარიღით და მე-11 ნომრით გამოცემულ დადგენილების „პრავდა გრუზიი" № 292 19 (11) დასამატებლად და შესაცვლელად ს. პ. კ. ს. შრომის ნორმის მოწესრიგების და წარმოების ორგანიზაციის განყოფილება ადგენს: დაჯარიმების მიზეზებისა და ჯარიმების რაოდენობის საკითხის მოსაწესრიგებლად, სახელმწიფო წარმოების და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთათვის შემოღებულ იქმნა შემდეგი სია დაჯარიმების მიზეზებისა და ჯარიმების რაოდენობისა:

1. დანაშაული, რისთვისაც მუშა-მოსამსახურეს გაფრთხილება გამოეცხადება:

ა) სამუშაოზე დაგვიანება 10 წუთზე მეტი ხნით (პირველად);

ბ) ადრე წასვლა სამუშაოდან იმ დაწესებულებაში ან წარმოებაში, სადაც მუშა-მოსამსახურის წასვლა არ გამოიწვევს მთელი წარმოების ან დაწესებულების მუშაობის ან მისი ნაწილის შეჩერებას;

გ) თამბაქოს მოწევა იქ, სადაც შინაური წესებით იგი აკრძალულია;

დ) დარღვევა წესებისა სასანიტარო ღონისძიებათა შესახებ;

ე) დარღვევა შინაურ წესებით დადგენილ იმ ღონისძიებისა, რომელიც სიფრთხილეს შეეხება;

2. დანაშაული, რისთვისაც მუშა-მოსამსახურეს ნახევარ დღის ჯამაგირი ან ქირა გამოერიცხება:

ა) განმეორება 1-ლ მუხლში დანიშნულ დანაშაულებისა;

ბ) დაგვიანება სამუშაოზე 30 წუთზე მეტი ხნით;

3 დანაშაული, რისთვისაც მუშა-მოსამსახურეს ერთი დღის ქირა ან ჯამაგირი გამოერიცხება:

ა) პატივსადებ მიზეზის დაუსაბუთებლად სამსახურში ან სამუშაოზე არ მისვლა თვეში ერთხელ;

ბ) ხანგრძლივი გამოუცხადებლობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წარმოების ან დაწესებულების შეჩერება, მთლიანად ან ნაწილობრივ (პირველად);

გ) სისტემატიურად განმეორება 1-ლ და მე 2 მუხლებში აღნიშნულ დანაშაულებებისა;

დ) არა ფხიზლად (მთვრალი) სამუშაოზე მოსვლა;

ე) მაგარ სასმელების ხმარება მუშაობის დროს (პირველად);

4. დანაშაული, რისთვისაც მუშა-მოსამსახურეს სამი დღის ქირა ან ჯამაგირი გამოერიცხება:

ა) პატივსადებ მიზეზის დაუსაბუთებლად სამსახურში ან სამუშაოზე არ მოსვლა თვეში ორ დღეს (განმეორებული დანაშაული);

ბ) ნაადრევად სამსახურიდან წასვლა (იხ. მე-3 მუხ. „ბ" პუნქტში);

გ) განმეორება 1-ლ და მე 2 მუხ. აღნიშნულ დანაშაულებისა;

დ) არა ფხიზლად (მთვრალი) სამუშაოზე მოსვლა (მეორედ);

ე) მაგარ სასმელების ხმარება მუშაობის დროს (მეორედ);

5. დანაშაული, რისთვისაც მუშა-მოსამსახურე შეიძლება დათხოვნილ იქმნას გაუფრთხილებლად ან წინდაწინვე ქირის მიუცემლად:

ა) სისტემატიურად დაგვიანება;

ბ) პატივსადებ მიზეზის დაუსაბუთებლად სამსახურში ან სამუშაოზე არ მისვლა თვეში ოთხ დღეს ან მეტ ხანს;

გ) სისტემატიურად დარღვევა შინაურ წესებისა (თამბაქოს მოწევა, დარღვევა სანიტარულ ზომებისა, სიფრთხილისათვის მიღებულ ღონისძიებისა და სხვა);

დ) დანაშაულის სისხლის სამართლის სახით;

6. პატივსადებ მიზეზის დაუსაბუთებლად სამსახურის ან მუშაობის გაცდენისათვის მუშა მოსამსახურეს, იმის გარდა, რომ მე 3, 4 და 5 მუხ. თანახმად გამოერიცხება ფული, ჯარიმაც დაედება სოციალურ დაზღვევის სასარგებლოდ;

7. ყოველი სასჯელი, ამ დადგენილებაში აღნიშნულ მუხლების თანახმად მიღებული უნდა შეტანილ იქმნას ჟურნალში განსაკუთრებული სატარიფო სანორმო ბიუროს მიერ.

8. მუშებს, თუ ისინი თანახმა არ იქნებიან გადაწყვეტილებისა, უფლება აქვთ განასაჩივრონ იგი კავშირის საკონფლიქტო განყოფილებაში.

9. ეს დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდან.

შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **ა. მიქაძე**

ს. პ. კ. საბჭოს მდივანი **ოდილავაძე.**

ს. პ. კ. ს. შრომის ნორმის მოწესრიგების და წარმოების ორგანიზაციის განყოფილების გამგე **ჟულელი.**

—

ცირკულიარული წინადადება.

ყოველ სახალხო მოსამართლეს.

იუსტიციის სახალხო კომისარიატს ცნობა აქვს, რომ ზოგი სახალხო მოსამართლენი, დაინახავენ რა საპყრობილეთა დათვალიერების დროს ზოგ პირთა უკანონოდ შეპყრობას, თითონ არ ანთავისუფლებენ ამ გვარ შეპყრობილთ და ამის შესახებ მხოლოდ აცნობებენ სათანადო დაწესებულებებს ან პირთ.

სახ სას. დებულების მე 6 მუხლის (პ. 2) ძალით კი, სახალხო მოსამართლე, შეამჩნევს რა საპატიმროებში დამწყვდეულთა უკანონოდ და უსწორო დაპატიმრებას, ამ გვარ შეპყრობილებს თვით ანთავისუფლებს და ასეთ უფლებას სახალხო მოსამართლისას არ აუქმებს არც დადგენილება № 97 „საპყრობილეთა დათვალიერების წესის შესახებ".

ამის გამო ეძლევა წინადადება რესპუბლიკის ყოველ სახალხო მოსამართლეს, რომ, როდესაც საპყრობილების დათვალიერების დროს ისინი შენიშნავენ შეპყრობილთა უკანონო და უსწორო დაპატიმრებას, ასეთი შეპყრობილნი გაანთავისუფლონ მათ დაუყონებლივ, ამას გამო დადგენილების გამოტანით, რომელიც დაერთვის საპყრობილეს საქმეს.

შეპყრობილთა უკანონო და უსწორო დაპატიმრების გამო განთავისუფლების საბაბს ადგილი აქვს:

1) როდესაც საპატიმროში არ არის მიღებული შეპყრობის შესახებ გამოტანილი დასაბუთებული დადგენილება, შედგენილი თანახმად № 84 დეკრეტისა;

2) თუ პატიმარი შეპყრობილია იმისთანა თანამდებობის პირის ან დაწესებულების მიერ, რომელსაც კანონი არ ანიჭებს მოქალაქის შეპყრობის უფლებას, ან თუ დაპატიმრებული მიგზავნილია საპყრობილეში კანცელიარიის მიერ;

და 3) თუ შეპყრობილია უწლოვანო 18 წლის ასაკამდე, გარეშე იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი შეპყრობა ხდება სახალხო სასამართლოს დადგენილებით იმ საქმეში, რომელიც გადმოცემულია მისადმი უწლოვანოთათვის არსებულ კომისიების მიერ.

ვინაიდან სასამართლო მოქმედებას, რომელსაც ხშირათ თან დევს ბრალდებულთა შეპყრობაც, ასრულებენ განსაკუთრებულ ქვემდებარეობის საქმეებში საგანგებო კომისიები და ადგილობრივ პოლიტბიუროებიც, სახალხო მოსამართლეებმა უნდა იქონიონ მსჯელობა მხოლოდ ზემო 1 პ-ში აღნიშნულ საბაბზე (დადგენილების უქონლობა) იმ შემთხვევაშიაც, როდესაც შეპყრობილი დაპატიმრებულია ან კომისიების ან პოლიტბიუროების მიერ; ხოლო ამ შემთხვევაში სახალხო მოსამართლე თვით არ ანთავისუფლებს შეპყრობილს: თავის დადგენილებას ამის შესახებ ის უგზავნის შესასრულებლად სათანადო პირს დაწესებულებას, რომლის განკარგულებით შეპყრობილია პატიმარი.

იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილე **ბ. ბროდსკი.**

სასამართლოს მომწყობ განყოფილების გამგის თანაშემწე **პ. კიზირია.**

—

ბრძანება № 21.

ს. ს. ს. რესპუბლიკის მილიციისადმი.

29 მარტი 1922 წ. ქ. თბილისი.

§ 14.

ა. წ. 6 მარტს საღამოს 8 საათზე და 30 წუთზე სადგურ ზესტაფონის და სვირის გადასარბენზე ჩქარ მატარებელს № 2 ს თავს დაესხნენ ბანდიტები, რომლებმაც აჰყარეს იარაღი მცველებს და შეუდგნენ მგზავრების ცარცვას: ამ დროს თავისი მოხერხებული მოქმედებით მცარცველებს ხელიდან გაუსხლტა განიარაღებული მეორე ხარისხის მილიციელი დიმიტრი ალექსანდრეს ძე ბაკაკური, რომელმაც გააფრთხილა მგზავრები ბანდიტების დაცემის შესახებ, წაართვა თოფი მცველად მყოფ წითელ არმიელს და ინსტრუქტორ ელიაშვილთან ერთად, დაუხვდა ბანდიტებს ბუფეტის ვაგონში. ასტყდა სროლა ბანდიტებისა ერთის მხრით და მილიციელ ბაკაკურს და ინსტრუქტორ ელიაშვილის შორის, მეორე მხრივ, რომლის დროს ორი ბანდიტთაგანი იქმნა მოკლული. მილიციელის ასეთმა თავ განწირულმა მოქმედებამ ბევრი მგზავრი გადაარჩინა ძარცვას. მილიციელ ბაკაკურს და ინსტრუქტორ ელიაშვილს [illegible] და თავ განწირულ ვაჟკაცობისათვის ვუცხადებ სამსახურის სახით მადლობას და ვაჯილდოებ თვითეულ მათგანს ორ მილიონ ნახევარი მანეთის მიცემით.

ს. ს. ს. რესპუბლიკის მილიციის უფროსი **რატიშვილი.**

პოლიტკომი **ტრაპაიძე.**

წერილი რედაქციის მიმართ

ამით ვაცხადებ, რომ დღეიდან ვსტოვებ მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას.

სიმონ ნიკოლოზის ძე ბერძენიშვილი.

სარედაქციო კოლეგია.

ხელის მომწერთა საყურადღებოდ

სახელმწიფო გამომცემლობა აცხადებს გაზეთ „პრავდა გრუზიის", „კომუნისტის", „კარმირ ასტღ"-ის და „ახალი აზრის" ხელის მომწერთა (სახელმწიფო დაწესებულების, პარტიული და მუშათა ორგანიზაციების და კერძო პირთა) საყურადღებოდ, რომ შემდეგში გაზეთებს მიიღებენ ისინი მხოლოდ ხელის მოწერის ფასის გადახდის შემდეგ. იმ დაწესებულებებს და პირთ, რომელთაც გასული თვეებისთვის გადასახადი არ შემოუტანიათ

გაზეთების მიწოდება უსათუოდ შეუწყდებათ.

ხელის მოწერა და ფულის მიღება გასული თვეებისთვის სწარმოებს წინასწარ სახელმწიფო გამომცემლობაში (ლორის მელიქოვის ქ. № 5).

სახელმწიფო გამომცემლობისაგან

განცხადება

ცხადდება ყველა პარტიულ გაზეთების „კომუნისტის", „პრავდა გრუზიის" და „კარმირ ასტღ"-ის ხელის მომწერთა საყურადღებოდ, რომ პირველ აპრილიდან ხელის მოწერა მიიღება ახალი ფასით.

პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის ხელის მოწერა ადგილზე ქალაქში სახლში მიუტანელად თვეში ღირებს 120.000 მან. შინ მიტანით 140.000 მ. პროვინციაში 150.000 მან.

ყველა სხვა დაწესებულებისა და კერძო პირთათვის ხელის მოწერა ადგილზე შინ მიუტანლად ქალაქში ღირებს თვიურად 180,000 მან. შინ მიტანით 200,000 მ., პროვინციაში 240.000 მან.

ცალკე ნომერი ქალაქში ღირებს 10,000 მ. პროვინციაში კი 12,000 მ.

ხელის მოწერა დროებით მიიღება სახელმწიფო გამომცემლობაში ლორის მელიქოვის ქ. № 5 ამხ. ზუმბაძესთან.

კვირას, 2 აპრილს საღამოს 5 საათზე

ქალაქის აღმასკომის შენობაში (სათათბირო დარბაზში) შესდგება

თბილისის მუშათა და წითელ ლაშქრელთა დეპუტატების საბჭოს კომფრაქციის სხდომა

ყველა პარტიულ ამხანაგთა გამოცხადება პარტიულ დისციპლინის ძალით სავალდებულოა.

საბჭოს ფრაქციის ბიურო.

განცხადება

თფილისის აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოს განყოფილება

ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ ყველა ის მოქალაქეები, რომლებიც უკვე აწარმოებენ ვაჭრობა მრეწველობას და ამა წლის ხუთ აპრილამდის არ აიღებენ ამის კანონიერ უფლებას, თანახმად ა. წ. 14 იანვრიდან თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის № 1 სავალდებულო დადგენილებისა, **5 აპრილიდან სრულიად კარგავენ ქალაქის ფარგლებში ვაჭრობის უფლებას და მათ სასწრაფო წესით ჩამოერთმევათ მაღაზიები ახალ მოიჯარადრეებზე გადასაცემათ, იქ აღმოჩენილი საქონელი გაიყიდება საჯარო ვაჭრობით საზინაო ქირის გასანაღდებლად, ხოლო თვით დამნაშავე ვაჭარ მრეწველები დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით სამმართველოს განყოფილების გამგის ხელისუფლებით — 6 თვემდე გამასწორებელ სახლში მოთავსებით ან 25 მილიონი მან დაჯარიმებით.**

თბილ. აღმასკომის სამმართველოს განყოფილება.

განცხადება

ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი ამა წლის 25 მარტის სავალდებულო დადგენილების № 4 ცხოვრებაში გასატარებლად საყოველთაოდ აცხადებს, რომ **ქალაქის ფარგლებში მდებარე სახლების მესაკუთრეთა რეგისტრაცია დაიწყება ამა წლის 4 აპრილიდან ქ. აღმასკომის საადგილმამულო განყოფილებაში** (ოთახი № 52).

მესაკუთრენი უნდა გამოცხადდნენ სათანადო განცხადების წარსადგენათ, სანკეტო ფურცლის შესავსებათ და სარეგისტრაციო ბარათის მისაღებად, შემდეგი წესით:

4	აპრილიდან	1-ლ	უბანში	მდებარე	სახლების	მესაკუთრენი.
11	„	2	„	„	„	„
18	-	3	„	„	„	„
25	„	4	„	„	„	„
2	მაისს	5	„	„	„	„
9	„	6	„	„	„	„
16	„	7	„	„	„	„
23	„	8	„	„	„	„
30	„	9	„	„	„	„
6	ივნისი	10	„	„	„	„
13	„	11	„	„	„	„
20	„	12	„	„	„	„

ის სახლები, რომელთა მესაკუთრენი არ გამოცხადდებიან სარეგისტრაციოთ, ცნობილი იქნება როგორც უპატრონო.

ქალაქის აღმასრულებელი **კომიტეტი.**

(3—1)

დაიკარგა

28 მარტს უვადო პასპორტი № 332 მოცემული ქუთაისის სამოქალაქო მილიციის მიერ მიხეილ ზაქარიას ძე ქაჯაიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

ქ. თბილისის მე-6-ე უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულ ანნა ივანეს ასულის სერკოვისა დაბადებით აბალუევისა დანაშთ ქონებაზედ თავის კამერაში (სურპ-კარაპეტის ხევი № 3) დღიდან ამის გამოცხადებისა ორი თვის განმავლობაში.

სახალხო მოსამართლე (ხელს აწერს).